# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 20 ნოემბერი 1997 №148 (513) ფასი 40 თეთრი



გუშინ ვაკეში. „ლოკომოტივი" — „მერანი": მერანელი გოგიტაძე ყველაზე მაღლა კია, მაგამ ყველაზე უიღბლოცაა: საკუთარ ავტოგოლს დასცქერის

## 15 ტური

**გუშინწინ**
VI ტურის გამოტოვებული მატჩი
დინამო 4:0 ოდიში

**გუშინ**
ლოკომოტივი 1:1 მერანი

**დღეს**
თსუ - ბათუმი

**ხვალ**
კოლხეთი - მეტალურგი
სიონი - ოდიში
მაღაროელი - ტორპედო
გურია - მარგვეთი
მორკინალი - დილა
სამგურალი - დინამო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 12 | 10 | 2 | 0 | 36:4 | 32 |
| ოდიში | 14 | 10 | 1 | 3 | 23:15 | 31 |
| ბათუმი | 13 | 8 | 4 | 1 | 29:10 | 28 |
| თსუ | 14 | 7 | 3 | 4 | 21:11 | 24 |
| კოლხეთი | 14 | 6 | 3 | 5 | 26:15 | 21 |
| ლოკომოტივი | 15 | 5 | 5 | 5 | 17:23 | 20 |
| მერანი | 15 | 7 | 3 | 5 | 21:17 | 19 |
| დილა | 14 | 6 | 1 | 7 | 15:21 | 19 |
| ტორპედო | 13 | 4 | 6 | 3 | 18:16 | 18 |
| მორკინალი | 14 | 4 | 6 | 4 | 15:13 | 18 |
| მეტალურგი | 13 | 5 | 0 | 8 | 15:20 | 15 |
| სამგურალი | 14 | 4 | 2 | 8 | 17:30 | 14 |
| მაღაროელი | 14 | 3 | 2 | 9 | 12:31 | 11 |
| გურია | 14 | 2 | 4 | 8 | 14:30 | 10 |
| სიონი | 13 | 3 | 5 | 5 | 17:17 | 9 |
| მარგვეთი | 14 | 1 | 3 | 10 | 11:34 | 6 |

თბილისი
„26 მაისი"
19 ნოემბერი

**ლოკომოტივი 1:1 მერანი**

**ლოკომოტივი:** ვოლკოვი, ქვარცხავა (ენუქიძე 64), ერაძე, ბარნოვი, ქველაძე, ბაქრაძე (მესხიძე 28), გ. კვეტენაძე, არჩვაძე, დაუშვილი, გამცემლიძე, გვაზავა
**მერანი:** გვენცაძე, დანელია, გოგიტაძე, სიდამონიძე, კაკუბავა, ჯიშკარიანი, ინიაშვილი, ჭინჭარაული, ბაბულაიძე, გოდერძიშვილი (ბერაია 89), დავითაშვილი
0:1 გოდერძიშვილი (6), 1:1 გოგიტაძე (79 ს.კ.)
**გაფრთხილება:** დანელია, ერაძე
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო, მაგრამ გვაზავასა და დაუშვილის მცდელობას შედეგი არ გამოუღია. მერანელთა პირველივე კონტრშეტევა კი გოლით დასრულდა: დავითაშვილი თავისსავე ნახევარზე ქვარცხავას დაუძვრა, ბურთიანად მოედნის შუახაზი გადაკვეთა და გოდერძიშვილს გრძელი პასი მიაწოდა. გადაცემა უნაკლო არ იყო და კარიდან გამოვარდნილ ვოლკოვს ბურთი უპრობლემოდ უნდა აეღო, მაგრამ უცებ მეკარეს ფეხი დაუცდა და ბურთი გოდერძიშვილის იოლი ლუკმა გახდა. მეკარემ შეცდომის გამოსწორება სცადა, თითქმის მოახერხა კიდეც როცა „გოდორას" პირველი დარტყმული მოიგერია, მაგრამ ბურთი ისევ თავდამსხმელს მიუვიდა. ხელმეორედ დარტყმული უნაკლო გამოდგა — ბურთი მეკარესაც გა-

მამუკა კვანტალიანი

## შეურგებელი საჩუქარი

გუშინ ქინქლაძის გუნდი ნავაძისას ეთამაშებოდა. ვაკეშიც თითქოს ჩემპიონატის ჩვეულებრივი მატჩი იმართებოდა, მაგრამ სწორედ იმ ჩვეულებრივ მატჩს ახლდა თავისებური ინტრიგა.

„ლოკომოტივის" თავკაცი მახარაძე წინა ჩემპიონატში „მერანს" წვრთნიდა. ბუნებრივია, იგი შეეცდებოდა ყოფილი კლუბის გამწარებას. თავის მხრივ, ჯონი ჯანელიძესაც გულით ეწადა გამარჯვება. „მერანის" ხელმძღვანელებს, ცხადია, ყოფილი მწვრთნელის გუნდთან დამარცხება გულზე არ მოეფონებოდათ.

თამაში ლიდებული სანახავი იყოო, არ ითქმის. ფეხბურთელები ხშირად ცდებოდნენ, სიზუსტეშიც გვარიანად სცოდავდნენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, უხარისხო მინდვრის ბრალი გახლდათ. ვაკის სტადიონის საფარი მთლად განადგურებულა.

სცდა და კარში ჩამდგარ მცველსაც.

მასპინძლებს შეტევებისთვის არ უკლიათ. ზოგჯერ თავდაცვაც ავიწყდებოდათ, ცოტა არ იყოს, უსისტემოდაც უტევდნენ და ისლა მოახერხეს, რომ კვეტენაძემ და ერაძემ ჯარიმა და თაური სტუმართა კარს სახიფათოდ, მაგრამ არასწორად დაუმიზნეს.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივი" ბევრად ძლიერად გამოიყურებოდა. „მერანს" ბურთის დაჭერა გაუჭირდა და მასპინძელთა საჯარიმოსაც სულ უფრო იშვიათად სტუმრობდა, თანაც ფეხბურთელებს დაღლა დაეტყოთ. ვაკელებმა, საგოლე მომენტები არაერთი შექმნეს. დაუშვილის თაური ძელს ხვდება, მეკარესთან ეულად დარჩენილი ენუქიძე იბნევა და გოლის გატანისთვის აუცილებელ წამებს ჰკარგავს. იგივე ენუქიძე ზედიზედ ორჯერ ხელსაყრელ სიტუაციაში საჭირო გადაწყვეტილებებს ვერ ღებულობს — ჯერ კიდევ ახალგაზრდას გამოცდილება აკლია. ბურთის უმისამართოდ მოგერიების მცდელობაც ბევრია.

ალბათ, „ლოკომოტივი" გოლს ვერც გაიტანდა, მხსნელად ისევ მერანელი რომ არ მოვლენოდა. მასპინძელთა ერთ-ერთი შეტევისას ჯიშკარიანმა და გოგიტაძემ ბურთი ვერ გაიყვეს. დათომ რომელს არ დაუთმო და თავით ბურთი კუთხურზე მოიგერია. ერაძის ჩამოწოდებული მასპინძელ მესხიძეს კი გადასცდა, მაგრამ მეკარის ბაქანში მდგომ გოგიტაძეს მუხლზე მოხვდა. ბურთი კარში ისე შევარდა, გვენცაძე არც განძრეულა.

## ახალკაცი ძალაუფლებას ამტკიცებს

ჟურნალისტებთან საკვირაო შეხვედრისას „დინამოს" პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ განაცხადა: უეფამ ეროვნული სტადიონის მშენებლობის დასახმარებლად გამოყოფილი თანხის გადმორიცხვა შეაჩერაო.

ამ საკითხის გარკვევა თავდაპირველად ფეხბურთის ფედერაციაში ვცადეთ. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ გვიპასუხა, რომელ შეჩერებაზეა ლაპარაკი, პირიქით, უეფა 60 ათასი ინდივიდუალური სკამის გარდა თავისი ხარჯებით განათების დამონტაჟებასაც აპირებსო. შეფერხება რომ მაინც არსებობს, ეს უკვე სახელმწიფო მინისტრის სახელზე ჟაკ ეპლესგან გამოგზავნილი წერილიდანაც ჩანს. ეპლეს თქმით, თანხის გადმორიცხვა დეპარტამენტს და ფედერაციას შორის არსებული დაპირისპირების მოგვარებამდე შეჩერებულა. ამბობენ, უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების კომიტეტის თავმჯდომარის ქმედება მნიშვნელოვანწილად ნოდარ ახალკაცთან ამასწინანდელმა შეხვედრამ განაპირობაო. გერმანიაში სამკურნალოდ წასულმა ახალკაცმა გზად შვეიცარიაშიც შეიარა, რითაც, ეტყობა, მეტოქე მხარეს თავის გავლენას და ძალაუფლებას უმტკიცებს.

# ვახტანგ ბალავაძე 70 წლისაა!

## დღეგრძელობას და მუდამ მხნეობას გისურვებთ, ბატონო ვახტანგ!




### ღრმად პატივცემულო ბატონო ვახტანგ!

გულითადად მოგესალმებით და მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს, დაბადებიდან 70 წლისთავს.

თქვენ მიერ განვლილი გზა, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და ჭეშმარიტი მამულიშვილობის შესანიშნავი მაგალითია; სწორედ ასეთი შესაშური თავდადების დასტურია თქვენი წარმატებები სპორტულ სარბიელზე.

თქვენ ბრძანდებით მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ღირსების ორდენის კავალერი, „ჭიდაობის პროფესორად" წოდებული სახელოვანი ფალავანი, მაგრამ ამ ტიტულებს შორის ყველაზე დიდია ის სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც თქვენ მოგაგებთ მადლიერი ქართველი ხალხი და ჭიდაობის საერთაშორისო სამყარო.

მოხარული ვარ, რომ დღესაც ჩვეული ვაჟკაცური შემართებით ემსახურებით ქართული სპორტის წინსვლას, ნიჭიერი მოზარდი თაობის დაოსტატებას, რითაც ფასდაუდებელი წვლილი შეგაქვთ ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისა და აღორძინების საქმეში.

ბატონო ვახტანგ,

კიდევ ერთხელ გულწრფელად გილოცავთ სახელოვან იუბილეს, მადლობას მოგახსენებთ გაწეული შრომისათვის, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას; კიდევ დიდხანს ემსახუროთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

ე. შევარდნაძე

17.11.97.

თბილისი
ეროვნული
18 ნოემბერი

**დინამო 4:0 ოდიში**

**დინამო:** ჭანტურია, კალაძე, ჯელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, ჩიხრაძე, კიკნაძე (გელაძე 56), ალექსიძე (ჩხეიძე 78), კ. გოგიჩაიშვილი (გოგობერიშვილი 80), მუჯირი, ხომერიკი
**ოდიში:** სოლოლაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ანჯაფარიძე, ტყემალაძე, ებრალიძე, ჩადუნელი (ივეჩიანი 46), ენდელაძე, კაიდარაშვილი, რევაზიშვილი, კალანდაძე
1:0 ხომერიკი (31), 2:0 მუჯირი (43), 3:0 ხომერიკი (79), 4:0 მუჯირი (81)
გაფრთხილება: ჩიხრაძე
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

მამუკა კვანტალიანი

# სასწაული არ მომხდარა

გუშინწინ ჩემპიონატის ლიდერები თამაშობდნენ და ბევრი რამ უნდა გარკვეულიყო. გაირკვა კიდეც, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატისთვის სასიკეთო არაფერი. „დინამომ" მოწინააღმდეგეს ისე უმოწყალოდ მოუგო, რომ მეტოქისთვის შანსი არ დაუტოვებია. კიდევ ერთხელ დადასტურდა წლობით განმტკიცებული აზრი — „დინამოს" ჩემპიონობას კარგა ხანს ვერავინ წაართმევს. თუ თბილისელებმა მოინდომეს, ყველას დიდი ანგარიშით მოუგებენ. მწარე სინამდვილეა, მაგრამ ფაქტია.

რატომ არ გაირჯნენ ოდიშელები საკადრისად? ამ კითხვაზე მკითხველს ჩემს მოკრძალებულ აზრს მოვახსენებ — ზუგდიდელებმა იცოდნენ, ვისთანაც ჰქონდათ საქმე, ისიც კარგად უწყოდნენ, რომ ეროვნულ სტადიონზე წარმატებისთვის მინიმალური შანსი დარჩენოდათ, ამიტომ პირველი წრის ბოლო მატჩისთვის ძალები და ფეხები დაზოგეს. თანაც ჩემპიონატის პირველი წრე ჩამთავრდება თუ არა, კიდევ რამდენიმე ოდიშელი დაადგება უცხოეთის გზას. ბუნებრივია, ფეხბურთელი, რომელსაც წასვლაზე უჭირავს თვალი, ბოლო თამაშებში თავს არ მოიკლავს.

შეიძლება ვცდები, მაგრამ მაშინ ზუგდიდელებს მეტი არ შეძლებიათ და მათი ლიდერობა მხოლოდ შემთხვევითობის და მათთვის ხელსაყრელი გათამაშების ცხრილის ბრალი ყოფილა. ანაც სტუმრები იმას ელოდნენ, როდის ჩაიდენდა რამაზ სოლოლაშვილი მორიგ სასწაულს. სასწაული კი არ შედგა.

„დინამომ" თამაში თავიდანვე ხისტად დაიწყო, რამაც სტუმრებს წინ წასვლაზე ხელი აალებინა. საკუთარი საჯარიმოს გამაგრებისთვის მზრუნველ ოდიშელებს დაცვაში არაერთი შეცდომა გაეპარათ. მთელი მატჩის მანძილზე მასპინძლებმა თხუთმეტი საგოლე მომენტი შექმნეს. აქედან მეკარემ თერთმეტჯერ იხსნა სტუმრები, დარჩენილ ოთხს კი ვერაფერი მოუხერხა. არაფერს ვამბობთ უმისამართო დარტყმებზე.

თითო ტაიმში ხომერიკმა და მუჯირმა თითო შეაგდეს და თავიანთ ადრინდელ მონაგარს გუშინწინდელი დუბლიც შემატეს. გოლებს ხომერიკმა დაუდო სათავე. ლევანმა გოგიჩას პასი მეკარის ბაქანთან, კარისკენ ზურგშექცეულმა მიიღო. თავდამსხმელის შემობრუნებით დარტყმული „შუმახერამ" ვერ გააუვნებელყო. ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ხომერიკმა კიდევ ერთხელ მოიქნია, მაგრამ ამჯერად მეკარემ ივარგა, ბურთი მოიგერია. ლევანს მხსნელად მუჯირი მოევლინა: მის დამატებულს გოლი მოჰყვა.

მეორე ნახევარში სტუმართა დაცვამ მასპინძელთ მთლად გალაღების საშუალება მისცა. ხომერიკმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ჭვინტით დარტყმულით ანგარიში გაასამა, ორ წუთში კი მისივე გარჯას კალაძის მახვილგონივრული პასი და მუჯირის მეოთხე გოლი მოჰყვა.

ამის შემდეგ „დინამო" დამშვიდდა. მასპინძლებმა სტუმრებსაც მისცეს თამაშის საშუალება. ზუგდიდელებმა შეტევისთვის მოიცალეს და ანჯაფარიძემაც მოდუნებულ თბილისელებს პენალტი გამოსტყუა. ბურთთან ჯონი კალანდაძე მივიდა. მას ჩემპიონატში მეთერთმეტე გოლის გატანა და ბომბარდირთა დავაში თავისი პოზიციების გამაგრება შეეძლო. მაგრამ დინამოელთა მეკარემ სხვაგვარად განსაჯა: ზუგდიდში დაბადებულ-გაზრდილმა ჭანტურიამ ოდიშელებისგან გოლის გაშვება არ მოინდომა. მან ზუსტად გამოიცნო ბურთის მიმართულება და არცთუ უნაკლოდ შესრულებული პენალტის მოგერიება არ გასჭირვებია.

ეს მეექვსე ტურის გადადებული შეხვედრა იყო. „ოდიშს" ბოლნისში არცთუ იოლი მატჩი ელის, „დინამოს" კი სამი საგარეო მატჩი უწევს. აქედან ორი მეშვიდე და მეათე ტურის გადადებული თამაშები გახლავთ, რომლებიც, 28 ნოემბერს და 3 დეკემბერს გაიმართება.



ბადრი ქვითელაშვილის ფოტო

ლურსმანაშვილმა ხომერიკს დუბლის გატანაში ხელი ვერ შეუშალა

# გაზაევი სილაგაძით დაინტერესდა

საქართველოს ეროვნული გუნდის კაპიტანის კახი ცხადაძის თქმით, „ალანიას" მწვრთნელ ვალერი გაზაევს რამდენიმე ქართველის წაყვანა სურს. ორი მათგანის გვარი ჩვენთვის ადრეც იყო ცნობილი — ლევან ქებაძე და კახი კალაძე. ახლა კი შევიტყვეთ, რომ ვლადიკავკაზელთა მწვრთნელს რიგის „სკონტოს" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველის, ლევან სილაგაძის გადაყვანაც განუზრახავს.

# აშვეთიას დინამოც ემუქრება

ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტ ბესიკ ჯიქიამ გვაცნობა, „ალანია" საბოლოოდ დატოვა მიხეილ აშვეთიამ. მისი თხოვებისთვის დაპირებული თანხა ვლადიკავკაზელებს „ტორპედოსთვის" არ გადაურიცხავთ, ქუთათურებს ფინანსური პრობლემები ჰქონიათ და ჯიქიაც არ აპირებს თავდამსხმელის უკან გაშვებას. პრეზიდენტის თქმით, აშვეთიათი გერმანული კლუბები ყოფილან დაინტერესებულნი და არც იმას გამორიცხავს, იგი „დინამოში" გადავიდეს.

# არმინიას ქართველი ფულზე არ ფიქრობს

ორი წლის წინ გერმანიის ქალაქ ბილეფელდში ბავშვთა საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, სადაც თბილისის „მაისმა" გაიმარჯვა. ქართველებში ნახევარმცველი გოგა ფარქოსაძე გამოირჩეოდა, რაც მასპინძლებს არ გამორჩენიათ. „მაისის" ხელმძღვანელებთან დალაპარაკების შემდეგ იგი დაიტოვეს და „არმინიას" ბავშვთა სკოლაში ჩარიცხეს.

ამ ორი წლის მანძილზე ფარქოსაძემ ბევრი რამ ისწავლა — „მივხვდი, რა არის ევროპული ფეხბურთი. კლასის ამაღლება სწორედ ისეთ ქვეყანაში შეიძლება, სადაც სავარჯიშოდ პირობები გაქვს და ფეხბურთის ანა-ბანას საფუძვლიანად გასწავლიან. თუ ნიჭი ხელს გიწყობს, დიდ ფეხბურთსაც ითამაშებ."

გოგა ყოველ შაბათ-კვირას თამაშობს გუნდის შემადგენლობაში: „ადრე მხოლოდ ბავშვთა გუნდში ვასპარეზობდი, მაგრამ ახლა უკვე „არმინიას" სათადარიგოთა შორისაც მათამაშებენ. როგორც მითხრეს, ამიერიდან მხოლოდ მათთან დავრჩები, ბავშვთა გუნდს კი გამოვეთხოვები."

საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველს გერმანელები ხშირად უცვლიან პოზიციას: „ხან თავდასხმაში მაყენებენ, ხანაც ნახევარდაცვაში. „არმინიას" ახალგაზრდულ გუნდში თავდამსხმელებს და ნახევარმცველებს ორივე პოზიციისთვის გვამზადებენ. თანაც ამ დროს გვაკვირდებიან, ვინ სად ვივარგებთ. იქ უმაღლეს დონეზე ვამუშავებთ ერთმანეთის დაზღვევას."

ფარქოსაძე თავს ბედნიერად გრძნობს: „გამიმართლა, გერმანიაში რომ წავედი. საქართველოში ორი წლის მანძილზე ნამდვილად ვერ გავიზრდებოდი ისე, როგორც ეს ბილეფელდში შევძელი."

ქართველ ნახევარმცველს ივნისში ეწურება „არმინიასთან" კონტრაქტი: „გერმანელები კმაყოფილნი არიან და იმედი მაქვს, გუნდის ხელმძღვანელები ჩემთან კონტრაქტის გაფორმებას ისურვებენ. ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდულ გუნდში გადაყვანას ამის ნიშნად მივიჩნევ."

ფარქოსაძე არ წუწუნებს, მიუხედავად იმისა, რომ მცირე ხელფასს უხდიან: „გუნდის მანქანა მემსახურება, ბინაც მათ ხარჯზეა, თანხა კი მხოლოდ საარსებოდ მყოფნის. მაგრამ დღეს ფული არ მაინტერესებს. მირჩევნია, ახლა მცირედს დავჯერდე და უკეთეს გუნდში გადავიდე, დიდ ხელფასს მერეც მოვესწრები. მე მომავალზე ვფიქრობ, მინდა, დიდი ფეხბურთი ვითამაშო."

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

# ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთის** ჩემპიონატის ბოლო ტურის უკანასკნელ მატჩში მადრიდის „რეალმა" შინ 3:1 დაამარცხა „ვალიადოლიდი". მასპინძელთაგან გოლები პრედრაგ მიატოვიჩმა (მე-19 წუთზე), ფერნანდო იერომ (26-ე) და ვიქტორ სანჩესმა (74-ე) გაიტანეს. სტუმართა ერთადერთი გოლი კი ალენ პეტერნაკის (მე-2) ანგარიშზეა.

**ინგლისის** პრემიერლიგის დაარსებიდან, ანუ 1991 წლიდან მოყოლებული, „ბარნსლის" 20 წლის ფეხბურთელი დინ ჯონსი დოპინგ-კონტროლზე ჩავარდნილი პირველი მოთამაშეა. მართალია, ჯონსს პრემიერლიგის მატჩებში ჯერ არ უთამაშია, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ იგი მაინც შეამოწმა და აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი აკრძალული სტიმულატორი მიეღო. მისი ბედი ორ კვირაში გადაწყდება.

**არგენტინელმა** ხორხე ვალდანომ განაცხადა, მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მონაწილე ქვეყანა დამიკავშირდა და მწვრთნელობა მთხოვაო. ვალდანომ, რომელიც 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონია, ეს ქვეყანა არ დაასახელა, ის კი დასძინა, მის გარდა არგენტინის, საფრანგეთის და პორტუგალიის კლუბებიც მიწვევენ, მაგრამ საეჭვოა, მწვრთნელობა გავაგრძელო, რადგან ჟურნალისტობა ერთობ მომეწონაო.

**ინგლისის** „არსენალის" ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, ჩვენთან სათადარიგო მოთამაშეთა ხელფასების საკითხი გადასახედიაო. მისი თქმით, ზოგი იშვიათად მოთამაშე ფეხბურთელი არანაკლებს იღებს, ვიდრე ძირითადის, და ეს დაუშვებელია. მან ამ საკითხის გადაწყვეტა „არსენალის" ხელმძღვანელობასთან ერთად ერთი თვის მანძილზე ითავა.

**ინგლისის** ჩემპიონის „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ჩილედან დაბრუნებისთანავე განაცხადა, ვფიქრობ, მარსელო სალასს პრემიერლიგასთან შეგუება არ გაუჭირდებაო. „გერმანელ, ფრანგ და იტალიელ ფეხბურთელებს ჩვენთან თამაში სურთ, რადგან ინგლისი ფეხბურთის სათამაშოდ საუკეთესო ადგილია, ამიტომ მგონია, რომ არც სალასს უნდა გაუჭირდეს" — განაცხადა ფერგიუსონმა, თუმცა, ჩილელი თავდასმსხმელის გადაბირებაზე საუბრისგან თავი შეიკავა.

**უკრაინაში** კვლავ გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ხორვატიასთან მარცხის ახსნა. ჟურნალისტები ორი მატჩის ჯამში წაგებას მწვრთნელს აბრალებენ, თუმცა, იოზეფ საბომ განაცხადა, კიევში რომ ვერ მოვიგეთ სათანადო ანგარიშით, ამაში უპირველესად დამნაშავე ამინდი, მსაჯი და ნაკრების პრობლემებიაო. მანვე მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩენა კიევის „დინამოს" გადაღლილი მოთამაშეებითაც ახსნა.

**აშშ-ს** ნაკრებს, მიუხედავად მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლისა, შესაძლოა, მთავარი მწვრთნელი სტივ სემპსონი გაუთავისუფლონ. სემპსონმა აშშ-ს გუნდი ბორა მილუტინოვიჩისგან ჩაიბარა და დიდი შრომის შემდეგ საფრანგეთის საგზურიც მოუპოვა, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტს ალან როტენბერგს მაინც მისი შეცვლა გადაუწყვეტია. მას ოფიციალურად არაფერი უთქვამს სემპსონის შეცვლაზე, თუმცა, მითქმა-მოთქმაა, ბრაზილიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ კარლოს ალბერტო პარეირას მიწვევას აპირებსო.

**ბელგიის** ჩემპიონატის სამშაბათს გამართულ შეხვედრაში „ლომელმა" 2:2 ითამაშა „ანდერლეხტთან".

**პორტუგალიის** მაჩანჩალა „შავეშმა" ორშაბათს მთავარი მწვრთნელი ხოსე რომაო გაათავისუფლა. გუნდის ხელმძღვანელობამ რომაოს თასზე მეორე ლიგის გუნდთან მარცხი არ აპატია, თუმცა, მწვრთნელი მანამდეც უნდა გაეშვათ, რადგან გუნდმა 9 მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო და ოთხი გოლის მეტი ვერ გაიტანა.

**ჰოლანდიის** ფეხბურთის ასოციაციასთან არსებულმა მსაჯთა კორპუსმა 32-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა „ფალკირკის" თავდამსხმელ არმანდო დი მელოს, რომელმაც სექტემბერში გაძევების გამო მსაჯი და მატჩის კომისარი შეურაცხყო.

**ბრუნეის** სულთანს თითქოს „ევერტონი" უნდა შეეძინა, მაგრამ ინგლისში სულთანის წარმომადგენელმა ჯონ ეიზენჰამერმა განაცხადა, არც სულთანს და არც მის ოჯახის წევრებს „ევერტონის" შეძენის სურვილი არ აქვთო. ხმები მას შემდეგ დაირხა, რაც კლუბის აქციების 68 პროცენტის მფლობელმა პეტერ ჯონსონმა განაცხადა, აქციებს ვყიდიო.

**აშშ** 1999 წელს ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. 16-გუნდიანი ტურნირის მატჩები ზოგიერთ იმ ქალაქში გაიმართება, რომლებიც სამი წლის წინ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობდა. ფინალური მატჩი კი, 1994 წლის დარად, ლოს ანჯელესის „როუზ ბოულის" 100 ათასიან სტადიონზე გაიმართება.

**ჰოლანდიის** ჩემპიონატის მატჩში აჩიკო არველაძის „ბრედა" შინ 0:2 დამარცხდა „ტილბურგთან". გოლები კისიმ (30-ე წუთზე) და ვან დერ ვეგტმა (72-ე) შეაგდეს. ქვეყნის თასის მეორე ეტაპის შეხვედრაში „როდამ" 1:0 დაამარცხა „ვოლენდამი", „ეინდჰოვენმა" კი მეორე დივიზიონის „ტელსტარ ლმუიდენთან" 3:4 წააგო.

**გერმანიის** ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა მოთამაშემ, ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, ჟოაო ავულანჟს კი უნდა, ფიფას პრეზიდენტი რომ გავხდე, მაგრამ ამის თაობაზე მე სხვა აზრი მაქვსო. თავად თურმე მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტობა ურჩევნია.

**ესპანეთის** ნაკრებში ხუთჯერ ნათამაშევი მადრიდის „ატლეტიკოს" მცველი ხუან ლოპესი მუხლის ოპერაციის გამო, ალბათ, ამ სეზონის დარჩენილ ნაწილსაც გამოტოვებს და მსოფლიოს ჩემპიონატსაც. ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „სოსიედადთან" უგოლო მატჩში, მან მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო.

**სალვადორის** ნაკრების მწვრთნელი მილოვან ჯორიჩი ფიფამ ექვსი თვით ჩამოაშორა ფეხბურთს და თან 11 ათასი დოლარითაც დააჯარიმა გაუთავებელი უაზრო საუბრების გამო. ჯორიჩმა განაცხადა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაში მექსიკას მსაჯები ეხმარებიანო. მექსიკელებმა სალვადორელთა თავკაცს ფიფაში უჩივლეს და საკადრისად დასაჯეს კიდეც.

**იტალიის** თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩში „ინტერმა" შინ 0:1 წააგო „პიაჩენცასთან", მაგრამ ორი მატჩის ჯამში 3:1 იმარჯვა. „სან სიროზე" ერთადერი გოლი ჯოვანი სტროპამ შეაგდო 88-ე წუთზე, თუმცა, პირველ შეხვედრაში რონალდომ ჰეთ-თრიკი შეასრულა და...

**საბერძნეთის** ფეხბურთის ფედერაცია ფიფამ 53 ათას 300 დოლარით დააჯარიმა ათენში დანიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გულშემატკივრების ზღვარსგადასული მოქმედების გამო.

**ინგლისის** ლიგის თასის მეორე წრის შეხვედრები: არსენალი — ქოვენთრი 1:0, დერბი — ნიუკასლი 0:1 (გოლი ტომასონმა შეაგდო 72-ე წუთზე), ლიდსი — რედინგი 2:3, ლივერპული — გრიმსბი 3:0, მიდლსბრო — ბოლტონი 2:1, ოქსფორდი — იფსვიჩი 1:2.

**უნგრეთის** ფეხბურთის ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იუგოსლავიასთან ორი მატჩის ჯამში 1:12 მარცხის შემდეგ სრული შემადგენლობით გადაგომა გადაწყვიტა. ფედერაციასთან პრეზიდენტმა მიხალი ლაშკომ, ვიცე-პრეზიდენტებმა იოზეფ საბომ, იუნო ბუზანსკიმ და სხვა ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, მთელი ჩვენი მოღვაწეობის პერიოდში სახელმწიფოსგან არანაირი მხარდაჭერა რა გვქონია და თანამდებობაზე დარჩენის მორალური უფლება არ გვაქვსო.

## გერმანია

XV ტური

**კარლსრუე 1:1 ბოხუმი**
1:0 ნიარკო (64), 1:1 დონკოვი (90)

**დუისბურგი 3:0 ჰამბურგი**
1:0 სალუ (14), 2:0 ცეიერი (45), 3:0 პუშმენი (80)

**დორტმუნდი 2:1 ვოლფსბურგი**
1:0 ჰაინრიხი (45), 2:0 ბუტი (60), 2:1 რეინა (73)

**ვერდერი 2:1 შალკე 04**
0:1 ეიკელკამპი (34), 1:1 ბოდე (36), 2:1 რამზი (39)

# ბორუსია ბურუსშია



დორტმუნდი — ვოლფსბურგი. ჰერლიხმა (მარჯვნივ) სულაც არ იფრინა ტყუილად

შუა კვირაში ჩატარებული ქვეყნის ჩემპიონატის მატჩები აღსანიშნავი მოვლენებით დახუნძლული აღმოჩნდა, სანამ მათზე მოგახსენებდეთ, ზემოჩამოთვლილ ოთხ მატჩსაც შევავლოთ თვალი.

დორტმუნდში, თითქმის გავსებულ „ვესტფალენშტადიონზე", ამ სეზონში ერთობ უხეიროდ მოასპარეზე „ბორუსიამ" ბუნდესლიგაში წელს ალზევებულ „ვოლფსბურგს" უმასპინძლა. ორიოდ წლის წინ ამ შეხვედრის გამარჯვებულის გამოცნობა არავის გაუჭირდებოდა, მაგრამ დორტმუნდელთა ჩავარდნის გათვალისწინებით, ახლა ეს შეუძლებელი იყო. დასაწყისიდანვე ნათელი გახდა, რომ მასპინძლებს ჯერაც არ დაუძლევიათ ის კრიზისი, რომელიც ჩემპიონთა თასის მოპოვებიდან დაეწყოთ. ნევიო სკალას გუნდი ქაოსურად, დაულაგებლად თამაშობდა და, ალბათ, ამიტომაც იყო, მასპინძელთა ხშირ თავდასხმებზე უფრო სახიფათო მომენტები, ვოლფსბურგელთა შედარებით იშვიათ კონტრშეტევებს რომ მოსდევდა. უნდა აღინიშნოს „ვოლფსბურგის" მეკარის, უვე ციმერმანის შესანიშნავი თამაში — მან პირველ ნახევარში ორჯერ იხსნა კარი აშკარა გოლისგან. თავის მხრივ არც მის დორტმუნდელ კოლეგა შტეფან კლოსს შეურცხვენია თავი. შესვენებაზე გუნდები თითქოს თანაბრად უნდა წასულიყვნენ, მაგრამ გასული სეზონის წინ „ფრაიბურგიდან" „დორტმუნდში" გადაბარგებულმა იორგ ჰაინრიხმა ციმერმანსა და მცველ ფრენკ გრეინერს შორის გაუგებრობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. მიუხედავად ამისა, მასპინძელთა 50 ათასი გულშემატკივარი მაინც განაგრძობდა უკმაყოფილების გამოხატვას, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა სტუმართა საპასუხო გოლის შემდეგ. მეორე ტაიმში სიტუაცია არ შეცვლილა — ბურთი უფრო ხშირად „ვოლფსბურგის" კარის მისადგომებთან ტრიალებდა და თამაშის დაწყებიდან საათში ციმერმანის კარში მეორეჯერაც შევარდა — თავი მასპინძელთა რუსმა იმედმა, 19 წლის ვლადიმირ ბუტმა გამოიჩინა. შაპუიზას, მიოლერის და ჟულიო სეზარის გარეშე მოთამაშე „დორტმუნდისთვის" ესეც კარგი შედეგი იყო, თუმცა, წამყვანი მოთამაშეების არყოფნამ მაინც იჩინა თავი. მეორე ნახევრის შუა წელიდან მოყოლებული „ვოლფსბურგის" იერიშები უფრო მასირებული გახდა, ერთ-ერთ მათგანს კი გოლიც მოჰყვა — ოდნავ მიწყნარებული მასპინძელთა გულშემატკივრები ამერიკის ნაკრების თავდამსხმელმა კლაუდიო რეინამ აღაშფოთა. გოლმა „დორტმუნდი" კვლავ გააძლიერა და მიუხედავად იმისა, რომ ბუტმა კიდევ ორი მომენტი გააცუდა, მათ მაინც მოახერხეს გამარჯვება. მოპოვებული სამი ქულით მასპინძლებმა თავი დააღწიეს სახიფათო ზონას და მე-14 ადგილიდან მე-10-ზე აინაცვლეს.

არანაკლებ საინტერესოდ წარიმართა მატჩი ბრემენში. „ვერდერმა" უეფას თასის მომგებ, ამ სეზონში, ბუნდესლიგაში საუკეთესო დაცვის მქონე „შალკე 04"-ს უმასპინძლა. 1987 წელს, უეფას თასზე, თბილისის „დინამოს" მძლეველი „ვერდერი" ამ სეზონში რატომღაც უსახურად ასპარეზობს, ბოლო ტურებში კი გოლიც ვერ გაიტანეს. პირველად გელზერკირხენელებმა იხარეს — რენე ეიკელკამპმა ივაჟკაცა, მაგრამ სტუმრებს გოლით ტკბობა მარკო ბოდემ არ აცალა — ზუსტად 501 წუთიანი უგოლობის შემდეგ მათ ბრემენელთა პირველი ბურთი შეაგდო, რომელიც ეგვიპტელმა ჰანი რამზიმ უმალ გააორა. შეხვედრის გადარჩენის შანსი სტუმრებს, ცხადია, ჰქონდათ, მაგრამ მათ 57-ე წუთზე მარკო ვან ჰუგდალემი გაუძევეს და „შალკე 04"-საც ძალა წაერთვა. მატჩის შემდგომ დამარცხებულთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჰუბ სტევენსმა განაცხადა, მსაჯს ჩვენიანი არ უნდა გაეგდო, რადგან უხეშობა სრულიადაც არ ყოფილაო. მისივე თქმით, შეხვედრა მათ კარგად ჩაატარეს, რამდენიმე შეცდომა კი მაინც დაუშვეს რომლითაც მასპინძლებმა ისარგებლეს.

კარლსრუეში მეტად დრამატული შეხვედრა გაიმართა. ტომას ჰესლერმა და კომპანიამ დარიუს ვოშის გარეშე დარჩენილ „ბოხუმს" უმასპინძლეს. „კარლსრუეს" თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა ულიდერო მეტოქის ძლევა, მაგრამ მიუხედავად საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობისა, უვე გოსპოდარეკის კარი თითქმის ერთი საათი შეუვალი გამოდგა. ამ ხნის განმავლობაში მეკარემ ჰესლერის ოთხი მზაკვრული ჯარიმა არ გაუშვა. ჩია ჰესლერის გარდა მან არც გიუნტერ ნეცი, მარკუს შროტი და ბურხარდ რეიხი გაახარა, მაგრამ მარტო კაცი ჭამაშიც ბრალიაო და თითქმის ერთსაათიანი ბრძოლის შემდეგ ნიარკოს დანებდა — მასპინძლის თაურს გოსპოდარეკი თითებით შესწვდა, თუმცა, მეტი ვერაფერი მოახერხა. ისის იყო „კარლსრუეს" გამარჯვება უნდა ეზეიმა, რომ ვოშის ნაცვლად მოთამაშე პეტერ პეშელი მოულოდნელად საჯარიმოში შეიჭრა და „ბოხუმის" ბულგარელ ლეგიონერ გიორგი დონკოვს, რომ იტყვიან ბურთი თავზე დაასვა, ამან კი გადაცემა ხელად გოლად აქცია.

სანამ ბუნდესლიგაში წელს გადასული ერთი გუნდი ქულის გადარჩენას ლამობდა, მეორე თავისზე, გაცილებით სახელოვან მეტოქეს ამარცხებდა. მას შემდეგ რაც „დუისბურგმა" „ჰამბურგი" დაამარცხა, 16 წელი გავიდა. მეტოქესთან „ჰამბურგი" ბოლოს სტუმრად 1981 წელს დამარცხდა, მაგრამ გამოხდა ხანი და კვლავ დადგა ჰამბურგელთა ძლევის დღე. „ვილდპარკზე" შეკრებილი 21 ათასი მაყურებელი ამხელა სიხარულს ნამდვილად არ მოელოდა. სტუმართა განადგურება სალუმ იწყო და შეცვლაზე შესულმა ტომას პუშმანმა დაასრულა. სხვათა შორის, ამ გამარჯვების წინა დღეს „დუისბურგის" მწვრთნელმა ფრიდელიმ ფუნკელმა გუნდთან ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ამ დღეებში მიუნხენის „ბაიერნს" თამაში არ უწევდა და მათაც ამხანაგური მატჩისთვის მოიცალეს. ბუნდეს ჩემპიონს ამჯერად მოყვარულთა გუნდი „ლოჰოფი" დაუპირისპირდა და 0:4 წააგო. ეს სხვებისგან არაფრით გამორჩეული შეხვედრა იმიტომ ვახსენეთ, რომ თითქმის ორი თვის წინ ტრავმირებული ლოტარ მატეუსი დაბრუნდა. 20 სექტემბერს, „დუისბურგთან" მატჩისას, გერმანიის ნაკრების რეკორდსმენმა კოჭი დაიზიანა, ახლა კი პირველსავე მატჩში თითქმის 30 მეტრიდან ულამაზესი გოლი შეაგდო. სხვათა შორის, „ბაიერნის" და „ლევერკუზენის" მატჩი 30 ნოემბრამდე არ გაიმართება.

**ლაშა გოლდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 14 | 10 | 3 | 1 | 31:17 | 33 |
| ბაიერნი | 15 | 9 | 5 | 1 | 32:15 | 32 |
| ლევერკუზენი | 15 | 7 | 4 | 4 | 28:18 | 25 |
| შალკე | 15 | 7 | 4 | 4 | 17:14 | 25 |
| დუისბურგი | 15 | 7 | 2 | 6 | 20:18 | 23 |
| შტუტგარტი | 14 | 6 | 4 | 4 | 28:18 | 22 |
| ჰანზა | 14 | 6 | 3 | 5 | 24:19 | 21 |
| ჰამბურგი | 15 | 5 | 4 | 6 | 21:23 | 19 |
| გლადბახი | 14 | 4 | 6 | 4 | 26:25 | 18 |
| დორტმუნდი | 16 | 4 | 6 | 6 | 23:23 | 18 |
| ვერდერი | 15 | 5 | 3 | 7 | 16:23 | 18 |
| მიუნხენ 1860 | 14 | 4 | 5 | 5 | 20:26 | 17 |
| ვოლფსბურგი | 15 | 5 | 2 | 8 | 18:24 | 17 |
| კარლსრუე | 15 | 4 | 5 | 6 | 24:31 | 17 |
| კიოლნი | 15 | 5 | 1 | 9 | 21:32 | 16 |
| არმინია | 14 | 5 | 0 | 9 | 16:21 | 15 |
| ჰერტა | 14 | 4 | 3 | 7 | 15:23 | 15 |
| ბოხუმი | 15 | 3 | 4 | 8 | 19:29 | 13 |

# „მანჩესტერ სიტი" — მალდინის ოაზისი

საკმაოდ სახელგანთქმული ინგლისური როკ ჯგუფი „ოაზისი" ამ დღეებში იტალიაში მართავს კონცერტებს. ჯგუფის წევრები, ნოელ და ლიამ გალაჰერები „მანჩესტერ სიტის" გულშემატკივრები არიან და, ცხადია, მათაც სხვების დარად, აწუხებთ კლუბის უშედეგობა. უფროსმა ძმამ, ნოელმა, იტალია — რუსეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის შემდეგ „სკუადრა ადზურას" კაპიტან პაოლო მალდინისგან საჩუქრად იტალიის ნაკრების მაისური მიიღო. დასაჩუქრებულმა გალაჰერმა კი არც აცია, არც აცხელა და მალდინის შესთავაზა, შეეშვი „მილანს", ჩვენსას, „სიტიში" წამოდიო. ამგვარი არასერიოზული თხოვნით ვინ რას გახდება, მაგრამ ეტყობა, გალაჰერმა სერიოზულად გადაწყვიტა „სიტიში" მალდინის გადაბირება — „მანჩესტერში პაოლოს ელიან. მზად ვარ, გადავიხადო სატრანსფერო თანხა და იგი ჩვენთან გადავიყვანოთ. დროა, მან სხვა კლუბშიც ითამაშოს" — განაცხადა პოპ ვარსკვლავმა. ისე, მალდინი ბავშვობიდან „მილანის" შემადგენლობაშია.

რას გახდება გალაჰერი მსოფლიოს უძლიერესი მარცხენა მცველის გადაბირებაში, ამას დრო გვაჩვენებს, მანამდე კი წყალწაღებული და ყველასგან დამარცხებული „სიტის", მეორე ქართველი, მცველი მურთაზ შელია უერთდება. „ალანიაში" შელიას კარგა ხანია, აღარ უთამაშია და მანაც რუსეთის ასე თუ ისე შეძლებულ კლუბში ბურთაობას ალბიონის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ გუნდში თამაში არჩია. „ალანიას" მანჩესტერელები შელიას სანაცვლოდ 678 ათას დოლარს უხდიან, ფეხბურთელს კი თავისთან კვირის ბოლოსთვის ელიან. თავად მურთაზის თქმით, იგი ინგლისში შაბათს მიფრინავს. „სიტის" მწვრთნელმა ფრენკ კლარკმა კი განაცხადა, მცველები ძლიერ გვჭირდება, მაგრამ არა მგონია, შელიამ უახლოეს მატჩში „ბრედფორდთან" ითამაშოს. მან „ალანიაში" ბოლო მატჩები გამოტოვა და ფორმის აღდგენისთვის კვირაზე მეტი დასჭირდებაო.

## ისრაელი

მე-11 ტური. ჰაპოელი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ჰაიფა) 2:1; ჰაპოელი (იერუსალიმი) — ბეითარი (იერუსალიმი) 1:1; მაკაბი (ჰაიფა) — მაკაბი (თელ ავივი) 2:0; ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) — ჰაპოელი (ქფარ სავა) 1:0; ბნეი იეჰუდა (თელ ავივი) — ირონი (აშდოდი) 1:4; მაკაბი (ჰერცლია) — ირონი (რიშონი) 3:1; ჰაპოელი (აშქელონი) — ჰაპოელი (ბეერშევა) 2:0; ჰაპოელი (ბეით შიანი) — მაკაბი (ფეთახ თიკვა) 1:1 (სტუმართა გოლი ამირან მუჯირმა გაიტანა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰ. თელ ავივი | 11 | 7 | 3 | 1 | 12:5 | 24 |
| ბეითარი | 11 | 5 | 6 | 0 | 28:14 | 21 |
| მ. ჰაიფა | 11 | 6 | 3 | 2 | 21:11 | 21 |
| ჰ. ფეთახ თიკვა | 11 | 6 | 3 | 2 | 19:13 | 21 |
| ჰ. ჰაიფა | 11 | 5 | 4 | 2 | 17:11 | 19 |
| ი. აშდოდი | 11 | 5 | 4 | 2 | 18:15 | 19 |
| ჰ. იერუსალიმი | 11 | 4 | 5 | 2 | 14:13 | 17 |
| ჰ. ქფარ სავა | 11 | 4 | 1 | 6 | 14:17 | 13 |
| ი. რიშონი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:17 | 13 |
| მ. ფეთახ თიკვა | 11 | 2 | 6 | 3 | 9:12 | 12 |
| ჰ. აშქელონი | 11 | 3 | 2 | 6 | 13:20 | 11 |
| მ. ჰერცლია | 11 | 2 | 4 | 5 | 14:16 | 10 |
| ბნეი იეჰუდა | 11 | 2 | 4 | 5 | 11:16 | 10 |
| მ. თელ ავივი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:16 | 9 |
| ჰ. ბეით შიანი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:17 | 9 |
| ჰ. ბეერშევა | 11 | 1 | 3 | 7 | 13:26 | 6 |

# ჩამოდით ჩვენთან... 2004 წელს

1999 წელს უეფა ევროპის მორიგი, მეთორმეტე ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანას დაასახელებს. კონტინენტის პირველობის მასპინძლობა [illegible] ავსტრიამ და უნგრეთმა ისურვეს, მოგვიანებით მასპინძლობის კანდიდატებს ესპანეთიც შეემატა, ორიოდ დღის წინ კი შვეიცარიამაც შეიტანა განაცხადი. შვეიცარიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა მარსელ მატიერმა ქალაქ მურიში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ციურიხის, ჟენევას, ბერნის, ლოზანის, ბაზელის და არაუს წარჩინებული მოქალაქეები ესწრებოდნენ, განაცხადა, მართალია, ჯერჯერობით ჩვენი ინფრასტრუქტურა საერთაშორისო დონის მოთხოვნებს არ პასუხობს, მაგრამ მერწმუნეთ, თუ უეფამ ევროპის პირველობის მასპინძლობა ჩვენ დაგვაკისრა, ტურნირისთვის ყველაფერი რიგზე იქნებაო. მანვე ფიფადან და უეფადან მიწვეულ სტუმრებს შეაპარა, 2004 წელს ფიფას შვეიცარიაში ყოფნის საუკუნოვანი, ხოლო უეფას 50-წლიანი იუბილე აქვსო. მატიერმა საუბარი ოპტიმისტურად დაასრულა, მჯერა მასპინძლობა ჩვენ გვერგებაო.

1999 წლამდე დიდი დროა. ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველთა რაოდენობა, სავარაუდოდ, კიდევ გაიზრდება, კანდიდატები კი ჯერჯერობით მხოლოდ ავსტრია-უნგრეთი, ესპანეთი და შვეიცარია არიან.

# ჩვენს ქვეყანაში ცოდვა ტრიალებს

იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელმა სავო მილოშევიჩმა ქვეყნის სატელევიზიო სადგურ „სტუდია B-ს" განუცხადა, რომ შაბათს, უნგრეთის ნაკრებთან თამაშის წინ მის თანაგუნდელს ზელიკო პეტროვიჩს დაემუქრნენ.

— ბაზაზე ერთ ოთახში ვცხოვრობდით. სწორედ იქ დაურეკა ვიღაც უცნობმა და უთხრა, შენ ხორვატიის ნაკრებში თამაშობდი და უნდა მოგკლათო — თქვა მილოშევიჩმა.

არადა, პეტროვიჩს ხორვატთა ნაკრებში ცხოვრებაში არ უთამაშია. ვერც ითამაშებდა, რადგან უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, თუ ამა თუ იმ ფეხბურთელმა რომელიმე ქვეყნის ნაკრების მაისური ერთი წამით მაინც მოირგო, მორჩა და გათავდა, სხვა ქვეყნის „შვილი" ვეღარ გახდება. ერთადერთი „ცოდვა", რაც პეტროვიჩს აწევს, ისაა, რომ კომუნისტური იუგოსლავიის დროს, ზაგრების „დინამოში" გამოდიოდა.

— ასეთი სულელური ამბები მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში თუ მოხდება — თქვა მილოშევიჩმა — პეტროვიჩს ხორვატიის ნაკრებში რომ ეთამაშა, როგორღა მიიღებდნენ იუგოსლავიის ეროვნულ გუნდში?

თურმე უცნობ ტერორისტს საბრალო პეტროვიჩისთვის უთქვამს, იუგოსლავიის ტერიტორიას 12 საათში გაეცალე, თორემ საქმე ცუდად წაგივაო.

უნგრელებთან შეხვედრაში „მოღალატე" მეორე ტაიმში შეიყვანეს მოედანზე. ბუნებრივია, მის თავს ერთი ღერი თმაც ვერავინ მოაკლო, მაგრამ ერთი ისტორია თავად პეტროვიჩის ამბის მთხრობელს, მილოშევიჩსაც გადახდა. მიუხედავად იმისა, რომ მან უნგრელთა კარში პირველი გოლი შეაგდო, თამაშის განმავლობაში „ცრვენა ზვეზდას" გულშემატკივრები, რომელთა სტადიონზეც მიმდინარეობდა შეხვედრა, საკმაო აგრესიას იჩენდნენ. საქმე ისაა, რომ „ასტონ ვილაში" გადასვლამდე მილოშევიჩი ბელგრადის „პარტიზანის" მოთამაშე გახლდათ, „ცრვენა ზვეზდას" და „პარტიზანს" კი ოდინდელი მტრობა აქვთ. იუგოსლავიელთა მწვრთნელმა სლობოდან სანტრაჩმა მილოშევიჩი შეცვალა, მან კი, გასვლისას, ავ ქომაგებს რაღაც ჟესტები აჩვენა.



მილოშევიჩმა, თავდაპირველად, სწორედ თავისი ბენდენით გაითქვა სახელი

— ბევრი ვიფიქრე, რით იყო გამოწვეული „მარაკანაზე" („ცრვენა ზვეზდას" სტადიონს უწოდებენ) შეკრებილთა ასეთი ქცევა. მიზეზი ისაა, რომ ეს ქვეყანა იყო და რჩება ადგილად, სადაც ცოდვა ტრიალებს. ეს ახალგაზრდები თავგასული ხალხია, რომელთა ნაირები მსოფლიოში აღარსად არსებობენ იუგოსლავიის გარდა.

მილოშევიჩმა განაცხადა, რომ როგორც „ცრვენა ზვეზდას", ისე „პარტიზანის" გულშემატკივრები წესითა და რიგით მათ საერთო გუნდს, ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს უნდა უჭერდნენ მხარს და ეს საშინაო ჩემპიონატის ამბებთან კავშირში არ უნდა იყოს.

— გამოდის, რომ ჩემი საკუთარი ქვეყნის ნაკრებში სათამაშოდ ჩამოსვლა ტანჯვა გახდება. იუგოსლავიის გუნდი დღეს გაცილებით უკეთეს მოპყრობას იმსახურებს.

სხვათა შორის მილოშევიჩი შესაძლოა მალე ინგლისიდან იტალიაში გადაბარგდეს. გუშინ ნეაპოლიდან ბირმინგემს ჩასულმა დელეგაციამ „ასტონ ვილას" თავმჯდომარეს დუგ ელისს სწორედ ამაზე ჩამოუგდო სიტყვა. „ვილას" თავმჯდომარემ „ნაპოლს" წარმომადგენლებს ამ საქმეში 6,8 მილიონი დოლარი მოსთხოვა. ისე, ბირმინგემელებს მილოშევიჩი მაინც და მაინც აღარც სჭირდებათ, რადგან მის ადგილას ახალ შენაძენს, „ლივერპულიდან" 11,9 მილიონ დოლარად ნაყიდ სტენ კოლიმორს ათამაშებენ. სხვა საქმეა, უნდა თუ არა მილოშევიჩს იტალიაში წასვლა. ოთხშაბათს, თავდამსხმელმა განაცხადა, რომ „ნაპოლისგან" მიწვევაც რომ ჰქონოდა, იტალიაში მაინც არ გადაბარგდებოდა, რადგან „ასტონ ვილაში" დარჩენა ურჩევნია სერია A-ს მაჩანჩალა გუნდში თამაშს: „ბირმინგემში თავს საოცრად კარგად ვგრძნობ. ამ სეზონში თამაში ჯერ არ გამომდის, მაგრამ, ვფიქრობ, მალე ძველებურად ავთამაშდები და კლუბის ძირითადში ადგილს დავიბრუნებ. იყო დრო, „ასტონ ვილას" დატოვება რომ მინდოდა, მაგრამ ის შემთხვევა წარსულს ჩაბარდა. დღესდღეობით ინგლისიდან არსად წასვლას არ ვაპირებ, მაგრამ თუ მაინცდამაინც იტალიაში ჩემი გადასვლა აუცილებელი გახდა, ახალი გუნდი უთუოდ ერთ-ერთი უძლიერესი იქნება."

ეს რაც შეეხება მილოშევიჩს, თუმცა დავუბრუნდეთ ბელგრადს.

იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელმა, ცნობილმა მწვრთნელმა ვუიადინ ბოშკოვმა, რომელიც სულ ერთი კვირაა, რაც იტალიურ „სამპდორიას" ჩაუდგა სათავეში, მილოშევიჩის აზრი გაიზიარა და თქვა, რომ აღშფოთებულია იმით, რომ გულშემატკივართა დიდმა ნაწილმა ეროვნულ ჰიმნს უსტვინა.

— მაშფოთებს, როდესაც ვუცქერ ქომაგები ჩვენი სახელმწიფოს ჰიმნს როგორ იგდებენ აბუჩად. ეს ყველაფერი ანტიიუგოსლავიური და ანტიეროვნულია — განაცხადა ბოშკოვმა იმავე „სტუდია B"-ს.

აქ ერთი ნაუანსია, იუგოსლავიის ჰიმნი კომუნისტების დროის მერე არ შეცვლილა, ქომაგებს კი ეს არ სიამოვნებთ.

— ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ იუგოსლავია 21 მილიონიანი ქვეყანა აღარაა. ჩვენ ერთ მუშტად შეკვრა და ბრძოლა გვმართებს. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისთვის, ჰიმნს ფეხზე უნდა წამოვუდგეთ და ჩუმად ვუსმინოთ — დასძინა ბოშკოვმა.

# რა დრო იყო! დიდებული, ქებული...

ეს სიტყვები სწორედ რომ ზედგამოჭრილი იქნებოდა იმ ამბებისათვის, რაც რუსეთის ნაკრების იტალიასთან ორი მატჩის ჯამში დამარცხებას და მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩენას მოჰყვა.

ამჯერად ნეაპოლის მატჩის შემდგომი რუსული გაზეთების როიტერისეულ მიმოხილვას შემოგთავაზებთ და თავად დარწმუნდებით, რომ რუსები კვლავ მისტირიან იმ დროს, როცა დიდ საბჭოთა კავშირში 15 „მოძმე“ რესპუბლიკა იყო გაერთიანებული.

ასე მაგალითად, იტალიელებთან წაგების მეორე დღეს „სვაბოდნაია გაზეტამ“ არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის ფეხბურთის კავშირის მთელი შემადგენლობით გადადგომა მოითხოვა. ცხადია, წასვლა მთავარ მწვრთნელ ბორის იგნატიევსაც მოსთხოვეს. სხვათა შორის, ამავე გაზეთმა იგნატიევი სსრკ-ს და დამოუკიდებელი რუსეთის ნაკრების ყოფილ მწვრთნელებს შორის ყველაზე უსუსტესად მიიჩნია.



ბორის იგნატიევი

„ნეზავისიმაია გაზეტამ“ ბოლო 20 წლის მანძილზე მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა პირველად დარჩენაში უმთავრესად კოლოსკოვი და მისი არმია დაადანაშაულა, იგნატიევს კი მათი ყურმოჭრილი მონა უწოდა. ამავე გაზეთმა ისიც კი განაცხადა, რომ სანამ აწ „განსვენებული“ საბჭოთა კავშირი არ აღსდგება, მანამდე თავისუფალ ქვეყნებად ქცეულთა ფეხბურთს არაფერი ეშველებაო.

და მაინც, ყველაზე კრიტიკული სააგენტო „იტარ-ტასი“ იყო: „რუსეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერმოხვედრას საკმაოდ ბევრი ახსნა მოეძებნება, თუმცა, სანამ იტალიასთან მატჩებამდე მივიდოდეთ, ისიცაა გასარკვევი, თუ რატომ გაირთულა ჩვენმა გუნდმა საქმე და რა მიზეზების გამო ვერ იმარჯვა ჯგუფში, სადაც ერთადერთ ხეირიან მეტოქე ბულგარეთის ნაკრები იყო. ჩვენს ქვეჯგუფში მეორე ადგილზე გასვლა მხოლოდ იმ უაზროდ დაკარგული ორი ქულის შედეგია, კვიპროსში რომ დავტოვეთ. მაშინ გუნდმა საშინლად ითამაშა და შედეგები აგერ, ახლა მოიმკო. საფრანგეთში წასვლის შანსი კიდევ რჩებოდა, მაგრამ ფლეი-ოფში ჩვენ უძლიერესი მეტოქე, იტალია შეგვხვდა. ჩეზარე მალდინის გუნდი არაა დაუმარცხებელი ნაკრები, მაგრამ იგნატიევმა იტალიელებს ვერაფერი დააკლო. სხვათა შორის, იგნატიევის შეცდომა ისიცაა, რომ ქვეყნის უპირველეს გუნდს იგი არასწორად აყალიბებს. განა შეიძლება, მოთამაშე მხოლოდ იმისთვის მიიწვიო ნაკრებში, რომ იგი იტალიის, გერმანიის ანდა ესპანეთის უმაღლესი ლიგის კლუბებში არის? ნუთუ ძნელი მისახვედრია, რომ ჩვენი ამჟამინდელი ნაკრების უმეტესი ფეხბურთელები აუტსაიდერ კლუბებში თამაშობენ. განა არ შეიძლება, იგნატიევი ცოტა ჩაუფიქრდეს, და ფეხბურთელები ჩვენი ჩემპიონატიდანაც აიყვანოს. ვფიქრობთ, რუსეთის ძლიერი კლუბების ფეხბურთელები გაცილებით სჯობია იტალიაში, ანაც ესპანეთში მაჩანჩალა გუნდებში მოთამაშე რუსებს.

არის კიდევ ერთი საკითხიც — რატომაა, რომ საფეხბურთო სფეროში საკმაოდ ძლიერი იუგოსლავიის შემდეგ წარმოქმნილი ორი ქვეყანა — ხორვატია და იუგოსლავია კვლავ უძლიერესებად დარჩნენ, საბჭოთა კავშირში შემავალი 15 ქვეყნიდან კი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცერთმა გააღწია? ამის მთავარი მიზეზი სპორტის უყურადღებოდ მიტოვებაა. მაშინ, სოციალიზმის ეპოქაში ამას არავის აპატიებდნენ, სახსრებიც საკმაო გვქონდა და ამიტომ იყო, ევროპაში და მსოფლიოში ჩვენი სიტყვა გვეთქმოდა. ახლა რა ხდება — საბჭოთა ფეხბურთის სამი უძლიერესი სკოლიდან ვერც რუსეთმა, ვერც უკრაინამ და ვერც საქართველომ საფრანგეთის საგზური ვერ მოიპოვეს.

ასეა, ძალა ერთობაში იყო, დავიშალეთ და...

# ამოსული მზის ქვეყანა

დღეს იაპონია ამაყია. იქ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას ზეიმობენ. მათმა ნაკრებმა მალაიზიაში, დამატებით დროში 3:2 მოუგო ირანს და საფრანგეთის საგზური მოიპოვა. დამატებითი დრო, ფიფას წესების თანახმად, გოლამდე იყო და ეს გოლი, რომელმაც ირანელები „უეცრად მოკლა“, მასაიუკი ოკანომ გაიტანა.

ორშაბათს დილით ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა რიუტარო ჰაშიმოტომ ძილისგან დამძიმებული თვალების მოფშენეტა ვერ მოასწრო, ჟურნალისტებით გავსებულ ოთახში შესვლა რომ მოუხდა.

— ერთობ კმაყოფილი ვარ — თქვა ჰაშიმოტომ — კარგი იყო, რომ ფეხბურთელებმა თამაშის ბოლოს საბრძოლო სულისკვეთება შეინარჩუნეს.

ჯეი ლიგის თავმჯდომარემ საბურო კავაბუჩიმ განაცხადა, ოთხი წლის წინ, პროფესიულ ლიგას რომ ვაყალიბებდით, ვიცოდი საითკენაც მივდიოდითო.

— ბევრი ადამიანი დღეს მადლობელია. ჩვენ მადლობა უნდა ვუძღვნათ მოთამაშეებს, მწვრთნელებს, გულშემატკივრებს. მადლობას ვუხდი სამხრეთ კორეელებსაც, რომლებმაც მხარი დაგვიჭირეს და გამოაკრეს ლოზუნგი „მოდი საფრანგეთში ერთად წავიდეთ“ — აღნიშნა მან.

იაპონია და სამხრეთ კორეა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის თანამასპინძლები არიან. იაპონიას საფრანგეთის საგზური რომ ვერ მოეპოვებინა, გახდებოდა პირველი ქვეყანა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატს ისე უმასპინძლებდა, რომ თავად არ ეცოდინებოდა მისი გემო.

— ახლა ჩვენ შეგვიძლია 2002 წელს მხრებში გაშლილებმა დავუცადოთ. დღევანდელი გრძნობა ისეთია, რომ მას სიტყვებით ვერ აღწერ — ასეთი იყო იაპონიის ფეხბურთის ასოციაციის გენერალური მდივნის, იუნი ოგურას კომენტარი.

დიახ, ამომავალი მზის ქვეყანაში ფეხბურთი დღითიდღე უფრო პოპულარული ხდებოდა, მაგრამ საფრანგეთის საგზურის მოპოვებამ საოცარი ვულკანის ამოფრქვევა გამოიწვია.

— ირანთან გამარჯვება ჩვენი ქვეყნისთვის რამდენიმე თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი — თქვა იაპონელთა მწვრთნელმა დაკეში ოკადამ — ერთი ის, რომ ჯეი ლიგა გაცილებით პოპულარული გახდება, მეორე კი ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა, 2002 წლის პირველობაზე ავტომატურად დაშვების წინ, დიდი გამოცდილების შეძენას ნიშნავს.

იაპონიისა და ირანის 119 წუთიანი ბრძოლა, რომელიც მალაიზიურ პორტ ჯოჰორ ბაჰრუში გაიმართა, ამომავალი მზის ქვეყანაში ღამის პირველ საათზე დაიწყო, მაგრამ აურაცხელი ქომაგისთვის ამას ანიშვნელობა არ ჰქონდა. „ფუჯი TV“-ს მიერ მოწყობილ ტრანსლაციას მოსახლეობის 47,9 პროცენტი უცქერდა. ასეთი აუდიტორია ფეხბურთს იაპონიაში მას მერე არ ჰყოლია, რაც 1994 წლის ჩემპიონატზე მოსახვედრად გამართული მათი და ერაყის თამაში გადასცეს. მაშინ, შეხვედრას, რომელიც იაპონელებმა წააგეს, მოსახლეობის 48,1 პროცენტმა უცქირა. ბევრმა გულშემატკივარმა ტოკიოს ცენტრში მოწყობილ უშველებელ ეკრანთან მოიყარა თავი. ჩრდილო იაპონიაში, ქალაქ საპოროში ტემპერატურა 0° C იყო, მაგრამ ხალხს არც იქ დაზარებია მოედანზე თავმოყრა.

ორშაბათობით იაპონიაში გაზეთებს არ გამოსცემენ. ახლა, ეს წესი სპორტული გაზეთებისთვის არ არსებობდა. ბევრმა გულშემატკივარმა, გუნდს მალაიზიაში რომ ახლდა, ტოკიოს აეროპორტში დაბრუნებისთანავე გამოიცვალა ტანსაცმელი, ნაკრების ლურჯი, საქომაგო მაისურის ნაცვლად კოსტუმი ჩაიცვა და სამსახურს მიაშურა.

ოქროს გოლის ავტორი ოკანო კი გმირია. არადა, შესარჩევი ტურნირის განმავლობაში იგი ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

— ცოტა უხასიათოდ გახლდით, რადგან ხშირად თამაშის საშუალება არ მქონდა, მაგრამ ჩვენ ყველანი ერთ გუნდს წარმოვადგენთ და ერთი საქმისთვის ვირჯებოდით — თქვა ოკანომ, რომელსაც ტოკიოში, „ნარიტას“ აეროპორტში საგანგებო დახვედრა მოუწყვეს.

ისევ ირანისა და ავსტრალიის დუელის შესახებ: ამ გუნდებს შორის გასამართავმა ორმა შეხვედრამ უნდა გაარკვიოს, ვინ იქნება მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასული ოცდამეთორმეტე ქვეყანა. საფეხბურთო სამყარო ამასღა ელოდება, შემდეგ კი 4 დეკემბერს, მარსელში მოეწყობა კენჭისყრა, სადაც ოცდათორმეტივე მონაწილეს ჯგუფებში გაანაწილებენ.

ახლა შაბათს, 22 ნოემბერს ავსტრალიელები თეირანში ითამაშებენ. ამ თამაშიდან ერთი კვირის თავზე კი საპასუხო შეხვედრას მელბურნის „კრიკეტ გრაუნდი“ უმასპინძლებს. დიახ, შაბათს პირველი თამაში შედგება, მაგრამ მას ავსტრალიელების გაუთავებელი ბუზღუნი უძღვის წინ. ავსტრალიელები ზუსტად ისე ბუზღუნებენ, ინგლისელებს რომ სჩვევიათ. ეტყობა მათ ბრიტანეთის იმპერიაში ყოფნამ ალბიონური დაღი დაასვა. გახსოვთ ინგლისელთა ჩივილი საქართველოსთან, მოლდოვასთან, ჩინეთთან თამაშების წინ? გახსოვთ შოტლანდიის „სელტიკის“ ისტერია ბათუმში ჩამოსვლამდე? რაღაც ამდაგვარი მოსდით ახლა ავსტრალიელებსაც. ისინი დაუსრულებლად იმეორებენ ერთსა და იმავეს, ნეტავ იაპონია შეგვხვედროდა, იაპონია რატომ არ შეგვხვდაო. იაპონია მათ იმიტომ არ შეხვდათ, რომ ირანს მოუგო. არ შეხვდა და მორჩა, წუწუნით საქმეს ვერ უშველი.

— ბოლო ათი დღეა თმა ყალყზე მიდგას. წარმოუდგენელია, რატომ უნდა ჩავეგდეთ ასეთ მდგომარეობაში, არ ვიცოდით რა ხდებოდა. ეს წმინდა წყლის უპატივცემულობაა — ინგლისურად შემოსძახა ავსტრალიის ნაკრების ინგლისელმა მწვრთნელმა ტერი ვენეიბლზმა — უსამართლოდ მოგვექცნენ. ხომ ხედავთ, რა დღეში ვართ?



ქარიმ ბაგერი

ვენეიბლზის აზრით უსამართლობა ისაა, რომ ოკეანიის ჯგუფის გამარჯვებულს მსოფლიოს ჩემპიონატზე პირდაპირ არ უშვებენ. ავსტრალიამ ზელანდიას ივლისში მოუგო და მას მერე ოფიციალურად აღარ უთამაშია, ირანს კი ბოლო დღეებამდე დაძაბული კალენდარი ჰქონდა და ბრძოლებში გამოიწრთო. ივლისის შემდეგ ავსტრალიელები აზიაში ამბის გარკვევას ელოდნენ, რათა შეეტყოთ, ვინაა მათი მოცილე. მეტოქის ვინაობა მხოლოდ კვირას გაირკვა, შაბათს კი უკვე თამაშია. ბუნებრივია, ასეთ კალენდარს თავისი მინუსი აქვს.

კიდევ, ვენეიბლზი იმითაა უკმაყოფილო, რომ თეირანში თამაშის დაწყების საათი, შეხვედრამდე მხოლოდ სამი დღით ადრე გახდა ცნობილი. თან, მასპინძლებმა სტუმართათვის უსიამოვნო დრო დანიშნეს. საქმე ისაა, რომ ვენეიბლზს და მის ლაშქარს თეირანში ერთი დღით გაჩერებაც არ სურდათ. ისინი საამიროებში, დუბაიში არიან დაბანაკებულნი და ფიქრობდნენ ირანის დედაქალაქს შაბათს დილით ვეწვევითო, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ შეხვედრა შუადღისას გაიმართება ანუ ავსტრალიელები სპარსეთს წინა დღით უნდა ჩავიდნენ, თორემ დასვენებას ვერ მოასწრებენ.

ვენეიბლზს, კიდევ, თეირანის სტადიონზე მოედანი არ მოსწონს.

— საფარი ცუდი აქვთ. პირობები კი ისეთი უნდა იყოს, მსოფლიოს ჩემპიონატს რომ შეეფერება — თქვა მან — ერთი რამ მაინც ჰქონდეთ ირანში ნორმალური. უპირველეს ყოვლისა, ეს მოედანი უნდა იყოს.

ვენეიბლზს არც ის ეჭაშნიკა, ავსტრალიელ ფეხბურთელებს ცხრა მთას იქით რომ მოუხდათ ჩასვლა. მგზავრობა დამქანცველი რამაა.

— მანძილი ყოველთვის პრობლემაა, თუმცა იაპონელებს რომ შევხვედროდით, კალენდარი ჩვენთვის უფრო სასიკეთო იქნებოდა — რატომ იქნებოდა კალენდარი ავსტრალიის ნაკრებისთვის უფრო სასიკეთო, ამაზე მის თავკაცს არაფერი უთქვამს.

მოკლედ, ავსტრალიელები დუბაიში არიან. ვენეიბლზი და ევროპაში მოთამაშე 16 ფეხბურთელი იქ ორშაბათ საღამოს ჩაფრინდნენ, სამშაბათს კი მათ ავსტრალიასა და იაპონიაში დასაქმებული 10 კაციც შეუერთდათ.

# კალია მამლებთან წავიდა



ჯერი ფრენსისი

„ტოტენჰემმა“ უკანასკნელად 1991 წელს გაიმარჯვა. მაშინ ლონდონელმა „მამლებმა“ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიგეს. მას შემდეგ კლუბს სიხარული აღარ განუცდია. ბოლო ორ სეზონში კი გუნდი სულაც მაჩანჩალათა მორიგეა და პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. ასეა წელსაც. ჟინოლას და ფერდინანდის, ყოფილი ნიუკასლელების, შეძენით „ტოტენჰემს“ თითქოს დიდი ამბიციები უნდა ჰქონოდა, მაგრამ გუნდმა შეხვედრა შეხვედრაზე დათმო და, რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, კვლავ მოსაწყენ და არაფრისმომცემ ფეხბურთს თამაშობს.

უიღბლობის ჟამს გუნდს, განსაკუთრებით მის მწვრთნელ ჯერი ფრენსისს კრიტიკა არ დაჰკლებია, გონიერმაც ჭკუის სწავლება დაუწყო და უგუნურმაც. ცხადი გახდა, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს წერტილი დაესმებოდა და ეს გუშინწინ მოხდა — ჯერი ფრენსისმა, ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, „ტოტენჰემიდან“ წასვლის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. მაინც რა დატოვა ფრენსისმა „ტოტენჰემში“ — შეიძლება ითქვას, ღირსშესანიშნავი არაფერი. მას შემდეგ, რაც 1994 წელს არგენტინელი ოსი არდილესისგან გუნდი ჩაიბარა, კლუბი მე-16 ადგილიდან მეშვიდეზე გაიყვანა, მაგრამ მომდევნო ორ სეზონში მერვე და მეათე იყო, ერთხელაც ასოციაციის თასის ნახევარფინალს უწია. მოკლედ, არანაირი იმედი წარმატებისა.

გუნდიდან წასვლის მეორე დღეს უსაქმურ ჯერი ფრენსისს, ახლა, ჟურნალისტებმა მიაკითხეს. მათთან საუბარში ფრენსისმა განაცხადა, „ტოტენჰემიდან“ წასვლა მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც კლუბის თავმჯდომარეს, ალან შუგარს ვესაუბრეო. ისე, ფრენსისს ეყო ვაჟკაცობა და გუნდის წარუმატებლობა თავის უნიათობას დააბრალა, თუმცა, ისიც დასძინა, კლინსმანის, ანდერტონის და ბარმბის შემცვლელს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვერ იპოვითო.

რაც შეეხება გუნდის თავკაცს ალან შუგარს, მან ფრენსისის კლუბიდან წასვლა საჭიროდ ჩათვალა, თუმცა, ისიც თქვა, მე და ჯერი მუდამ მეგობრები ვიყავით და მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არ გაგვიმართლა, ასევე დავრჩებით. გუნდი დროებით „ტოტენჰემის“ სათადარიგო კლუბის თავკაცს ფრიც შმიდს ჩააბარეს. გუშინ კი ლონდონელთა ახალი მწვრთნელი დადგინდა — შვეიცარიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის — „გრასჰოპერის“ თავკაცი, კრისტიან გროსი.

„ტოტენჰემის“ ხელმძღვანელობას გროსი, როგორც ეტყობა, კარგა ხნის შეგულებული ჰყავდა, რადგან ფრენსისის კლუბიდან წასვლის დღეს ლონდონელები შვეიცარიელებს დაუკავშირდნენ და თანხმობა მიიღეს. „გრასჰოპერის“ პრეზიდენტმა რომანო სპადარომ დაადასტურა კრისტიან გროსის ინგლისში გადასვლა.

გროსი „გრასჰოპერში“ 1991 წლიდან მოღვაწეობს. ამ ხნის განმავლობაში მათ ორჯერ მოიგეს შვეიცარიის ჩემპიონობა, ერთხელ — თასი, ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ სეზონშიც ასე თუ ისე ხეირიანად ითამაშა. მოკლედ, „გრასჰოპერში“ დატოვა „კვალი ნათელი“.

ასე რომ, ლონდონელ „მამლებს“ ამიერიდან შვეიცარიელი „კალია“ უმწვრთნელებს, თუმცა, „ტოტენჰემის“ გულშემატკივრებსაც მიანიჭებს თუ არა „გრასჰოპერის“ ქომაგთა დარ სიხარულს, არავინ იცის.

**P.S.** სხვათა შორის, გროსი პრემიერლიგაში მესამე უცხოელი მწვრთნელია. მისი წინამორბედებიც ლონდონის კლუბებს წვრთნიან — ფრანგი არსენ ვენგერი „არსენალს“, ჰოლანდიელი რუდ გულიტი „ჩელსის“.

# ნეტავ იაპონიას წავეგო



ავსტრალიელებმა ზელანდიელები ორჯერ დაამარცხეს (3:0; 2:0) ფოტოზე კი ავსტრალიელი ბაბიჩის (მარცხნივ) და ზელანდიელი ბარტონის ორთაბრძოლაა აღბეჭდილი

— ირანის დამარცხება ძნელი საქმეა, თან ჩვენ ახლა ძალიან დაღლილები გახლავართ. იმედი მაქვს ხვალისათვის მოთამაშეები დაისვენებენ და სერიოზულად დავიწყებთ ვარჯიშს. დუბაიში რაიმე ამხანაგურ შეხვედრას არ გავმართავთ, მხოლოდ ერთმანეთში ვითამაშებთ — განაცხადა სამშაბათს ვენეიბლზმა.

ავსტრალიელებმა შინაურულად მაინც წაჰკრეს ბურთს ფეხი ერთ ადგილობრივ გუნდთან. მათ წინაშე დიდი ამოცანაა, უნდა გაიმეორონ ის, რაც ოცდაოთხი წლის წინ შეძლეს, დაამარცხონ ირანი და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდნენ.

— ვიმედოვნებთ, რომ ისტორია განმეორდება. მართალია, ირანის გუნდს კარგად არ ვიცნობთ, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ წინ საპასუხო მატჩიც გვაქვს — თქვა ავსტრალიელმა ფეხბურთელმა, ლონდონის „ვესტ ჰემის“ გარემარბმა სტენ ლაზარიდისმა.

ჩვენ კი ახლა იმაზე ვთქვათ, რა რეაქცია ჰქონდათ ირანელებს, მეტოქის ჩივილი რომ ისმინეს. მათი ფეხბურთის ფედერაციის მოხელეები ყველაზე მეტად თავიანთი კოლეგის, „სოკერ ავსტრალიას“ თავმჯდომარის დევიდ ჰილის განცხადებას განურისხებია. წინა „სარბიელში“ ვწერდით, რომ ჰილმა ირანში ჩასვლას კოშმარი უწოდა და განაცხადა, ჩვენი გუნდი საკვებსა და სასმელ წყალს თან ჩაიტანსო. ირანული ფეხბურთის ოფიციალურმა პირებმა ამას დეზინფორმაციული კამპანიის გაჩაღება უწოდეს. სასაცილო ბრალდებაა, თითქოს ირანული სასმელი წყალი და საკვები რაიმე ხიფათის მატარებელი იყოს — თქვეს მათ — უპასუხისმგებლო და ავი განცხადებებით ავსტრალიური სპორტის ხელმძღვანელები ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო ორგანიზაციათა შეხედულებებს. ირანი მზადაა უმასპინძლოს სპორტულ შეჯიბრებებს“.

ირანული სააგენტოს IRNA-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ფიფას დელეგატმა ირანისა და საუდის არაბეთის შეხვედრის შემდეგ თეირანში შექმნილი პირობები საუკეთესოდ მიიჩნია.

ირანელებისთვის ავსტრალიელებთან სიტყვიერ პაექრობაზე ცუდი ისაა, რომ საშაბათოდ მათ სამი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი აკლდებათ. მათ შორისაა კაპიტანი და გოლკიპერი აჰმადრეზა აბედზადე. არ იქნება თავდამსხმელი ხოდადად აზიზიც. აზიზი დიდი ძალაა, ის გერმანულ „კიოლნში“ თამაშობს და გოლების გატანაში ერთობ გაწაფულია. სწორედ მან შეაგდო იაპონელთა კარში ერთი გოლი. დისკვალიფიცირებულთაგანია ნახევარმცველი ქარიმ ბაგერიც. ნახევარმცველი უძახე და ის აზიის შესარჩევი შეჯიბრების ბომბარდირია. ბაგერიც გერმანიაში თამაშობს, ბელეფილდის „არმინიას“ წევრია, მაგრამ 7 ნოემბერს ყატართან შეხვედრაში გააძევეს და ავსტრალიელებთან პირველ თამაშს ვერ ჩაატარებს.

ირანული გაზეთების ცნობით ნაკრებში ახალწვეულებიც არიან: ბეჰრუზ რაბარიფარი, ჰამიდრეზა ბაბაკი, იბრაჰიმ ტაჰამი, სამსონ პეროსიანი და ალი მუსავი.

„ავსტრალიელებმა ნერვების ომი დაიწყეს, ისინი ამბობენ, რომ ჩვენთან სტუმრობა აშშ-ერაყის შესაძლო ომის გამო უსაფრთხო არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ თეირანში თამაშის ეშინიათ“ — წერდა გაზეთი „ირანი“.

„ჩვენ ისეთი სულისკვეთებით და გრძნობით ვითამაშებთ, ქვეყნად არავის რომ აქვს“ — აცხადებს გაზეთი „ჰამშაჰრი“.

# ხერხი კი კარგია, მაგრამ ღონეც რომ საჭიროა...



ჯემალ ნათელაშვილი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ყველაზე მიუწვდომელი შეჯიბრება იყო ჩვენი ძიუდოისტებისთვის. ადრეც გაუწყეთ, ბოლოს ამ ასპარეზობაში 1993 წელს გამოვედით, მას შემდეგ კი კონტინენტის ახალგაზრდული სარბიელი ჩვენთვის ოთხი წლით დაიხურა. იგივე მოხდებოდა წლეულსაც, მაგრამ ქართველი ახალგაზრდების ბედად მათი მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილია — წარმოშობით დუშელი, მაგრამ კახელივით ჯიუტი და გამტანი კაცი. ადრევე ცნობილი იყო, რომ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის ძიუდოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ამოწურული ექნებოდა. ბატონმა ჯემალმა, შეიძლება ითქვას, ავანტიურა წამოიწყო — კეთილი ხალხი დაიხმარა, ზოგი შეაწუხა, ზოგიც დაანამუსა და მიზანს მაინც მიაღწია — ნაკრები სლოვენიაში წაიყვანა.

თუ როგორ დაბრუნდნენ იქიდან ჩვენი ახალგაზრდები, კარგად მოგეხსენებათ. გია გუგავა ევროპის ჩემპიონი გახდა, ფირუზ ტყეშელაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო გუნდურ ჩათვლაში მეოთხეები აღმოვჩნდით. სლოვენიურ და სხვა ამბებზე ჯემალ ნათელაშვილმა ეს გვითხრა:

— ლიუბლიანაში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში 37 ქვეყანა მონაწილეობდა. თითქმის ყველა გუნდს ახლდა ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი, ფედერაციათა და სპორტის ორგანოთა ხელმძღვანელები. ჩვენ ამაზე პრეტენზია არც გვქონდა, იმაზეც მადლობელი ვართ, რომ შეჯიბრებაზე მოვხვდით. აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნო სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თავმჯდომარე ბერდია გუგავა და ხმამაღლა ვთქვა: ეს კაცი რომ არ ყოფილიყო, არც იქ წასვლა იქნებოდა, არც წინასაშეჯიბრებო შეკრება და არც ჩემპიონი და პრიზიორი გვეყოლებოდა. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ გია გუგავაცა და ფირუზ ტყეშელაშვილიც სპორტკლუბ „შევარდენის“ წევრები არიან.

**— უშუალოდ ტატამზე რა ხდებოდა?**

— ჩემპიონით დავიწყოთ. გუგავა პირველ წრეში ბელგიელ მაიკას შეხვდა და სულ 30 წამში მოუგო. მეორე წრეში ებრაელ არიკ ზეევის დაეჭიდა. ეს ძალიან ძლიერი ბიჭია, საკმაოდ გამოცდილიც და ტიტულოვანი. გიას შიში ჰქონდა-თქო, ვერ ვიტყვი, მაგრამ აშკარად ღელავდა — იცოდა, ზეევიმ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯიქურაულსაც მოუგო და ძლიერ რუსს სერგეევსაც. ეს მღელვარება ტატამზე შესვლამდე გაგრძელდა. იქ კი გონივრულად გაისარჯა, თავიდანვე შეუტია და ორჯერ იუკოზეც დაავდო მეტოქე.

ნახევარფინალმა მესამე დღეს მოუწია. უკრაინელი სტაცენკო კარგი ბიჭია, ორივე მხარეს ტრიალდება კისრულზე და ნამგალასაც კარგად უსვამს. გია მოუსვენრად იყო, სულ იმას ამბობდა, ნეტავ დროზე მომიწიოს ჭიდაობამო. ამან, ცოტა არ იყოს, მეც ამაღელვა, მაგრამ შეხვედრის წინ, როცა ვარიგებდი, მივხვდი, გუგავა წამგები არ იყო. სტაცენკოს იქით გაუკეთა თავისი ფანდი — ნამგალათი ვაზარი აართვა. მერე ქამარში ხელი გადაავლო და უკრაინელი მთლად გაშეშდა. მსაჯებმაც დისკვალიფიკაცია მისცეს.

მეორე ფინალისტი ბელარუსი მაკაროვი იყო, რომელსაც თავი, ვგონებ, ტანზე დიდი ჰქონდა. შეხვედრის წინ გიამ მითხრა, ავიყვან და, სადაც თქვენ იჯდებით, იმის წინ დავახეთქებო. დასაწყისი კი სულ სხვაგვარი იყო — მაკაროვმა მარჯვენა ხელი გაუთიშა გუგავას და მოწოლა გაუკეთა. ჩვენებურმა სწრაფმა რეაქციამ და ჰაერში დროულად ამოტრიალებამ იხსნა, თორემ იპონი გარდაუვალი იყო, ისე კი, გდება კოკათი შეფასდა. მერე გიამ ქამარში გადაავლო, ფეხიდან ააგლიჯა მეტოქე და დანაპირები შემისრულა — ბელარუსი ზედ ცხვირწინ დამიგდო.

ერთი სიტყვით, გუგავამ შესანიშნავად იჭიდავა. ძალიან ჭკვიანი ძიუდოისტია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს — მარცხენა მხრიდან სათანადოდ ვერ ჭიდაობს. ამის გამოსასწორებლად დიდი შრომა სჭირდება, უნდა იწვალოს, მწვრთნელებმაც ყველაფერი უნდა გავიღოთ ამისთვის და გარწმუნებთ, ამ ბიჭს დიდი მომავალი ექნება.

**— ამბობენ, არც ტყეშელაშვილს უჭიდავიაო ნაკლებად...**

— ფირუზი ძალზე ნიჭიერი ბიჭია. ტექნიკა შესანიშნავი აქვს. სლოვენიაში ჩემპიონობისთვის დააკლდა ის, რაც ჩვენ უფულობამ დაგვმართა — სათანადო ფიზიკური მომზადება. თავად განსაჯეთ — პირველ შეხვედრაში ოთხი წუთის განმავლობაში ოთხ იუკოსა (!) და გაფრთხილებას უგებდა ფრანგ ბონომს. ერთი წუთი რომ დარჩა, საერთოდ ველარ ინძრეოდა და იმასღა ცდილობდა, არ დავეცეო. დაცემით არ დაცემულა (საერთოდ, ტყეშელაშვილს ჩემპიონატზე ერთი ქულაც არ დაუკარგავს), მაგრამ პასიურობისთვის მოხსნეს. ამის შემდეგ სუნთქვა გაეხსნა და მომდევნო ორი შეხვედრა წამებში მოიგო.

მესამე დღის პირველ შეხვედრაში კვლავ პრობლემები შეექმნა — ფიზიკურმა მოუმზადებლობამ გამძლეობაზეც იმოქმედა. მართალია, ტყეშელაშვილმა წმინდად დაამარცხა გერმანელი ბიმიულერი, მაგრამ ტატამიდან ძლივს გამოვიდა, ხელი შევაშველე, თორემ იქვე ჩაიკეცებოდა. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კვლავ გაიხსნა და შვედი ბენგსტონი ლამის იყო შუაზე გაგლიჯა. სხვათა შორის, ამ ბენგსტონს მსოფლიოს ჩემპიონატზე გიორგი ვაზაგაშვილმა ორი იუკოთი მოუგო. ვიმეორებ, ფიზმომზადების შეკრება რომ გაგვევლო, ტყეშელაშვილი ჩემპიონი იქნებოდა და სხვებიც უკეთ გამოვიდოდნენ.

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— გიორგი ნადირაშვილს. ეს ბიჭიც უფრო ტექნიკური მოჭიდავეა, ვიდრე ძალისმიერი. პირველი შეხვედრა კი წააგო, მაგრამ მერე იყოჩაღა და ძლიერ მეტოქეებს აჯობა. მესამე ადგილისთვის რუს კნიაზევს შეხვდა. ამან ჩავლება აული გიორგის და ილეთის ჩატარება არ დაანება.

მძიმეწონოსანი ვასილ ლექვინაძე მეტოქეებთან შედარებით ცეროდენასავით გამოიყურებოდა, არადა, ნახევარფინალამდე კარგად მივიდა, შემდეგ კი დამარცხდა — ამ ასაკში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია წონაში სხვაობა. ამის კომპენსაცია ფიზმომზადებით უნდა მოხდეს, მაგრამ...

**— დანარჩენებმა ვერაფრით გამოიჩინეს თავი?**

— ლაშა სარდანაშვილმა, დავით ნადარაიამ და გელა ჭურჭელაურმა თავიდანვე წააგეს. მიუხედავად ამისა, მათი უგულებელყოფა არაფრით შეიძლება, სხვა თუ არაფერი, პირველად იჭიდავეს ოფიციალურ შეჯიბრებაში.

**— გაისად ახალგაზრდებს ევროპის ჩემპიონატიც ელით და მსოფლიოსიც...**

— ეგრეა, მაგრამ ძიუდოს მამებმა ჩვენთვის ცუდი გადაწყვეტილებაც გამოიტანეს. თუკი აქამდე ახალგაზრდული ასაკი 21 წლამდე განისაზღვრებოდა, ამიერიდან ერთი წელი მოაკლდება და 20 წლამდე იქნება, ესე იგი, გაისად ახალგაზრდათა შეჯიბრებებზე 1979 წელს და უფრო გვიან დაბადებულებმა უნდა იასპარეზონ. ჩვენთვის ცუდი ის არის, რომ გუგავა, ნადარაია და ნაკრების კიდევ რამდენიმე კანდიდატი 1978 წელს არიან დაბადებულნი. სამაგიეროდ, ტყეშელაშვილი და ნადირაშვილი ერთი წლით უმცროსები არიან.

**— სულ ეს ცვლილებები იქნება საგაისოდ?**

— არა. მომავალი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი მსოფლიოს პირველობების ანალოგიურად წარიმართება. ასპარეზობა დღეში ორ წონით კატეგორიაში გაიმართება და იმავე დღეს მორჩება. ახლანდელი სისტემა — წინასწარი შეხვედრები ერთ დღეს, ნახევარფინალები და ფინალები — მესამე დღეს — პირადად მე გაუმართლებლად მიმაჩნია. სპორტსმენებს ზედმეტი განცდა და ემოცია უგროვდებათ. მაგალითად, გუგავამ რამდენიმე კილოგრამი ნერვების გამო დაკარგა და ნახევარფინალის წინ სულ 88 კილოგრამს იწონიდა. არ დაგავიწყდეთ, რომ მას პაექრობა 95 კილოგრამიან ძიუდოისტებთან უხდებოდა.

**კახა არჯევანიძე**

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

13-16 ნოემბერი. ლიუბლიანა

**ვაჟები**

60 კგ: 1. შეინ ოთურსი (დიდი ბრიტანეთი), 2. დმიტრი ბაზილევი (ბელარუსი), 3. ჟერემი ლე ბრი (საფრანგეთი) და ანტონიო ვილენია (ესპანეთი)

65 კგ: 1. იოზეფ კრნაჩი (სლოვაკეთი), 2. ჟილ ბონომი (საფრანგეთი), 3. ფირუზ ტყეშელაშვილი (საქართველო) და კიოში უემაცუ (ესპანეთი)

71 კგ: 1. კამო ბალაიანი (უკრაინა), 2. კონსტანტინ სემიონოვი (ბელარუსი), 3. სერგეი კნიაზევი (რუსეთი) და სტეფენ ფრიში (გერმანია)...5. გიორგი ნადირაშვილი (საქართველო)

78 კგ: 1. ფლორიან ვანერი (გერმანია), 2. რობერტო მელონი (იტალია), 3. ალექსეი შერშნიოვი (რუსეთი) და გენადი ბელოდედი (უკრაინა)

86 კგ: 1. ალექსეი მიხალიოვი (რუსეთი), 2. ოზგურ ილმაზი (თურქეთი), 3. არნო ტური (საფრანგეთი) და პრჟემისლავ მატიაშეკი (პოლონეთი)

95 კგ: 1. გია გუგავა (საქართველო), 2. იგორ მაკაროვი (ბელარუსი), 3. დიერდ კოსტოლანჩი (უნგრეთი) და ივან ვეგა (ესპანეთი)

მძიმე: 1. ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი), 2. აიტამი რუანო (ესპანეთი), 3. პიტერ ჰეერმა (ჰოლანდია) და პეტერ ჰერმანი (გერმანია)...5. ვასილ ლექვინაძე (საქართველო)

**ქალები**

48 კგ: 1. ვიქტორია ნადი (უნგრეთი), 2. ივონ შერნტანერი (ავსტრია), 3. ანა ზემლა (პოლონეთი) და რობერტა გრასი (იტალია)

52 კგ: 1. ტამარა მეიერი (ჰოლანდია), 2. ელენიტა მერლი (საფრანგეთი), 3. საბრინა ფილცმოზერი (ავსტრია) და ილონა მახალეკი (პოლონეთი)

56 კგ: 1. ინგა გოლაშევსკა (პოლონეთი), 2. ლენა გოლდი (შვეიცარია), 3. ოლგა სონინა (რუსეთი) და ლაურა მადალონი (იტალია)

61 კგ: 1. ურსკა ზოლნირი (სლოვენია), 2. ოლგა პოზდნიშევა (რუსეთი), 3. კირა გერიტაიანსი (ჰოლანდია) და სარა მუსიალიკი (საფრანგეთი)

66 კგ: 1. უდიტ ბოში (ჰოლანდია), 2. რასა სრაკა (სლოვენია), 3. ანდრეა პაზუტოვა (ჩეხეთი) და კატრინ ჟაკი (ბელგია)

72 კგ: 1. ანეტ ბუმი (გერმანია), 2. ამანდა კოსტელო (დიდი ბრიტანეთი), 3. როზალინა უკოლოფი (საფრანგეთი) და მირანდა ვან დერ ბრუკი (ჰოლანდია)

მძიმე: 1. ბრიჯიტ ოლივიე (ბელგია), 2. კარინა ბრაიანტი (დიდი ბრიტანეთი), 3. მალგოჟატა გორნიჩკა (პოლონეთი) და ანა სოფი მონდიერი (საფრანგეთი)

## ქართველები ევროპის ჩემპიონატზე

60 კგ. 32 მონაწილე. ლაშა სარდანაშვილი: ნიჯათ სულთანოვი (აზერბაიჯანი) 10:0, ფაიკ ილდირიმი (თურქეთი) 0:10

65 კგ. 31 მონაწილე. ფირუზ ტყეშელაშვილი: ჟილ ბონომი (საფრანგეთი) 0:10, ლუკაშ კუჩინსკი (პოლონეთი) 10:0, მარო ვოჰკონენი (ფინეთი) 10:0, ბენი ბიმიულერი (გერმანია) 10:0, გაბრიელ ბენგსტონი (შვედეთი) 10:0

71 კგ. 29 მონაწილე. გიორგი ნადირაშვილი: სტეფენ ფრიში (გერმანია) 0:5, კლემენტ ფერიანი (სლოვენია) 10:0, იგნასიო სალვადორი (ესპანეთი) 10:0, ვოლფ ამუსო-გენო (საფრანგეთი) 1:0, სერგეი კნიაზევი (რუსეთი) 0:10

78 კგ. 28 მონაწილე. დავით ნადარაია: გეორგ ეგენფელნერი (ავსტრია) 0:5

86 კგ. 24 მონაწილე. გელა ჭურჭელაური: პრჟემისლავ მატიაშეკი (პოლონეთი) 0:5

95 კგ. 22 მონაწილე. გია გუგავა: სტეფან მაიკა (ბელგია) 10:0, არიკ ზეევი (ისრაელი) 5:0, დმიტრი სტაცენკო (უკრაინა) 10:0, იგორ მაკაროვი (ბელარუსი) 10:0

მძიმე. 16 მონაწილე. ვასილ ლექვინაძე: გეორგ შტრადნერი (ავსტრია) 10:0, პეტერ ჰერმანი (გერმანია) 10:0, ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი) 0:7, პიტერ ჰეერმა (ჰოლანდია) 10:0



# ჯიჯის ყელში ამოუვიდა

ნიუ იორკი. „ჩეიზის“ მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა შორის. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდი 2 მილიონი დოლარი

მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა შორის, კაცებისგან განსხვავებით, ჩოგბურთისთვის უფრო ჩვეული — პლეი-ოფის სისტემით ტარდება და მასში 16 მანდილოსანი მონაწილეობს, თუმცა განსხვავება ამით არ ამოიწურება — ერთეულებთან ერთად ე. წ. „ჩეიზის“ ჩემპიონატზე 8 საუკეთესო წყვილიც ასპარეზობს. „მედისონ სკვერ გარდენის“ კორტებზე გამარჯვებულს ზუსტად ნახევარი მილიონი დოლარი ერგება, პირველივე წრეში გავარდნილს კი 30 ათასი დოლარით ანუგეშებენ. გასული წლების გამარჯვებულები არიან:

1986 — მარტინა ნავრატილოვა
1987 — შტეფი გრაფი
1988 — გაბრიელა საბატინი
1989 — შტეფი გრაფი
1990 — მონიკა სელეში
1991 — მონიკა სელეში
1992 — მონიკა სელეში
1993 — შტეფი გრაფი
1994 — გაბრიელა საბატინი
1995 — შტეფი გრაფი
1996 — შტეფი გრაფი

„ჩეიზის“ ჩემპიონატი პროფესიონალ ქალთა ერთადერთი ტურნირია, რომელზეც



მარი პირსი

WTA ჩოგბურთელებს ხუთსეტიანი შეხვედრის გამართვის უფლებას აძლევს, ოღონდ მხოლოდ ფინალში. შარშან გადამწყვეტ მატჩში ძველი და ახალი თაობები შეეჯახნენ ერთმანეთს — უკანასკნელი ათწლეულის საუკეთესო ჩოგბურთელმა შტეფი გრაფმა დაძაბულ ხუთსეტიან ბრძოლაში მსოფლიოს ახლანდელ და, როგორც ეტყობა, კარგა ხნით პირველ ჩოგანს მარტინა ჰინგისს აჯობა. წლეულს შტეფი მუხლის ოპერაციის გამო ნიუ იორკში არ ასპარეზობს, აი, მარტინა ჰინგისი კი პირველობის მთავარ პრეტენდენტად ითვლება. 16 მონაწილეს შორის ადრე ჩემპიონატში გამარჯვებული მხოლოდ მონიკა სელეშია. ეს შორეულ 1992 წელს მოხდა, ხოლო ახლანდელ მის ფორმას თუ გავითვალისწინებთ, ვერც ამჯერად უნდა ჩამოკრიფოს ციდან ვარსკვლავები. ჰინგისთან ერთად ფავორიტებად ფერხორციან ამერიკელ ლინდსი დევენპორტსა და მობერებულ, მაგრამ ჯერ კიდევ მოცუნდრუკე იანა ნოვოტნას მიიჩნევენ, თუმცა განთესვის მიხედვით ისინი ნახევარფინალშივე უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

### მერვედფინალები

ორშაბათს გამართული სამივე შეხვედრაში თითო ფრანგი ქალი მონაწილეობდა. ამათგან პირველი კორტზე პირმშვენიერი მარი პირსი გამოვიდა, რომლის მოწინააღმდეგეს — ბელგიელ საბინე აპელმანსს თაფლობის თვე მსოფლიოს ჩემპიონატზე ხეირიანად ასპარეზობის იმედით რამდენიმე კვირით გადაედო. ფრანგმა მეტოქის მეუღლის ცოდვა არ დაიდო და ბელგიელი ორშაბათსვე გაუშვა საქორწინო შვებულებაში. პირსს, რომელსაც ამერიკის ღია პირველობის მერე ვირუსის გამო რამდენიმე კვირა გაუცდა, ავადმყოფობისა არაფერი ეტყობოდა, მეტოქე თავიდანვე თავისთვის ხელსაყრელ, სწრაფ ტემპში ჩართო და მძლავრი მოწოდებითა და ზუსტი დარტყმებით მატჩში თავიდან ბოლომდე დომინირებდა 6:3, 6:4.

არ გასჭირვებია ერთეულთა ტურნირის ყველაზე მხცოვან მონაწილეს — 30 წლის ნატალი ტოზიასაც, რომელსაც გაცილებით [illegible] მეტოქე [illegible]ვდა — სამხრეთაფრიკელი [illegible] კუტცერი (4). ფრანგმა [illegible] ტაქტიკურად მარტივი, მაგრამ მომგებიანი გეგმა არჩია — ყველა შემთხვევაში წინ გასვლა. ჩია კუტცერი უკანა ხაზზე მეტოქეს არაფრით ჩამორჩებოდა, მაგრამ ბადესთან გასული ტოზია სმეშებსა და შემოკლებულებს უნაკლოდ ასრულებდა — 6:3, 6:3. უკანასკნელი ქულის მოპოვების შემდეგ ფრანგმა თითი მეტოქისკენ გაიშვირა და ხმამაღლა შეჰკივლა, მაგრამ მერე მოიბოდიშა, იქით ჩემი მწვრთნელი და მეწყვილე — ალესანდრა ფუზაი ისხდნენ და იმათ მივესალმე, თორემ კუტცერს რას ვერჩოდიო.

ერთადერთი უიღბლო ფრანგი ამ დღეს სანდრინ ტესტიუ აღმოჩნდა, რომელიც სამ სეტში — 3:6, 7:5, 4:6 მერვედ განთესილ რუმინელ ირინა სპირლეასთან დამარცხდა.

ასპარეზობის მეორე დღეს პირველი მატჩი გამართა 17 წლის მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა და, როგორც ამ ბოლო ხანებში ხშირად ხდება ხოლმე, ძალზე გაუჭირდა. მისი მეტოქე მერვედფინალში ქალებს შორის უძლიერესი მოწოდების მქონე, 1,88 მეტრიანი ჰოლანდიელი ბრენდა შულცმაკარტი იყო. ჰინგისი ჯანიანი მეტოქის ძლიერ მოწოდებებს და თამაშის აგრესიულ სტილს ვერ გაუმკლავდა, თუმცა გადამწყვეტ მომენტში — პირველი სეტის ტაი-ბრეკიზე, როგორც პირველს შეჰფერის, უკეთ გაისარჯა და დაწინაურდა. წესით და რიგით, თანაბარი ბრძოლა მეორე ხელშიც უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ბადესთან გავარდნილმა ჰოლანდიელმა მეორე გეიმში ფეხის თითზე ფრჩხილი წაიტეხა და წამლობის მიუხედავად მატჩის ბოლომდე მიყვანა ველარ მოახერხა. — 7:6 (7:3), 5:2 ჰინგისის სასარგებლოდ.

ძველი მტრების — ხორვატ ივა მაიოლისა (6) და გერმანელ ანკე ჰუბერის შეხვედრამ, ჩვეულებისამებრ, დიდ ბრძოლაში ჩაიარა. ქალთა ჩოგბურთის უძლიერესი ფორჰენდების, ორხელა ბექჰენდებისა და გმინვა-კრუსუნის პაექრობაში გამარჯვება ხორვატს დარჩა. მატჩის ორივე ხელის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა და ნერვებმა ორჯერვე მსაჯების გადაწყვეტილებებით მუდმივად უკმაყოფილო გერმანელს უმტყუნა. 7:6 (7:5), 7:6 (7:2) მაიოლის სასარგებლოდ.

კიდევ ერთ მერვედფინალში ჩეხმა იანა ნოვოტნამ (2) უკანასკნელი ამ თვეში უკვე მესამედ დაიბრიყვა ესპანელი კონჩიტა მარტინესი 6:4, 6:4.

„ჩეიზის“ ჩემპიონატის წყვილების პირველი წრის შეხვედრა 33 წლის ამერიკელი ჯიჯი ფერნანდესისთვის გედის სიმღერა გამოდგა. თავის დიდი ხნის მეწყვილე — ბელარუს ნატაშა ზვერევასთან ერთად იგი ბებრების კიდევ ერთ დუეტთან — ლატვიელ ლარისა ნეილანდთან და ჩეხ ჰელენა სუკოვასთან და-



ნატალი ტოზია

მარცხდა 5:7, 6:3, 4:6. პუერტორიკოელ ჯიჯის 17 დიდი სლემის ტურნირი აქვს მოგებული წყვილთა შორის, აქედან 14 ზვერევასთან ერთად და ორჯერაც — 1992 და 1996 წლებში ოლიმპიური ჩემპიონი იყო მერი ჯო ფერნანდესთან ერთად, რომელიც ნათესავად სულაც არ ერგება. „მაყურებელი მარტო კორტზე გხედავს, მაგრამ ამის გარდა ჩოგბურთი ყოველდღიური ვარჯიშები, ძალიან ცოტა ძილი და მუდმივი დიეტაა, რაც უკვე ყელში ამომივიდა“ — განაცხადა აწ უკვე პენსიონერმა მანდილოსანმა.

**ავთანდილ სვანიძე**

# სპორტული ლატარია "CROCO"

## გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XVI ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოხუმი — ვერდერი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ჰამბურგი — დორტმუნდი | 2,2 | 2,7 | 2,7 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი — კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| შტუტგარტი — კარლსრუე | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| შალკე — მიუნხენი | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| კიოლნი — არმინია | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ჰერტა — ლევერკუზენი | 2,7 | 2,7 | 2,2 |
| ბაიერნი — დუისბურგი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰანზა — მიონხენგლადბახი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

## გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XIV ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — ფიურტი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| კარლ ცაისი — მაინცი | 1,8 | 3,0 | 3,3 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მეპენი — უნტერჰახინგი | 2,3 | 2,7 | 2,5 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიურნბერგი — დიუსელდორფი | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| კიკერსი — გიუტერსლო | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ლაიპციგი — ცვიკაუ | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| ფრაიბურგი — ფორტუნა | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,0 |
| კოტბუსი — ვატენშაიდი | 1,5 | 3,0 | 5,3 |

24 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აინტრახტი — ზანქტ პაული | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |

## ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XV ტური

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ევერტონი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ბლეკბერნი — ჩელსი | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| დერბი — ქოვენთრი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ლესტერი — ბოლტონი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ლივერპული — ბარნსლი | 1,05 | 6,0 | 14,0 |
| 0:1 | 1,15 | 3,8 | 5,6 |
| ნიუკასლი — საუთჰემპტონი | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| შეფილდი — არსენალი | 3,1 | 2,9 | 1,9 |
| უიმბლდონი — მანჩესტერი | 3,6 | 3,1 | 1,7 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიდსი — ვესტ ჰემი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |

24 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტოტენჰემი — კრისტალ პალასი | 1,9 | 3,0 | 3,0 |

## ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XIX ტური

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერი — სანდერლენდი | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| ქრიუ — სტოკპორტი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| სიტი — ბრედფორდი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ნორვიჩი — ოქსფორდი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| ნოტინგემი — ჩარლტონი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| პორტ ვეილი — შეფილდი | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| პორტსმუთი — ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| ქუინზ პარკი — ჰადერსფილდი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| რედინგი — იფსვიჩი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| სვინდონი — მიდლსბრო | 2,1 | 2,7 | 2,9 |
| ტრანმერი — სტოკი | 2,2 | 2,8 | 2,6 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვესტ ბრომი — ბირმინგემი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |

## იტალიის ჩემპიონატი. სერია A. IX ტური

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინტერი — მილანი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| პიაჩენცა — ლაციო | 3,8 | 3,0 | 1,7 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — ფიორენტინა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ბრეშია — უდინეზე | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ემპოლი — ატალანტა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| იუვენტუსი — პარმა | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| ლეჩე — ნაპოლი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| რომა — ვიჩენცა | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| სამპდორია — ბარი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |

## ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XIII ტური

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო — ვალენსია | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სალამანკა — სოსიედადი | 3,1 | 2,9 | 1,9 |
| ბეტისი — დეპორტივო | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ესპანიოლი — სპორტინგი | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| 0:1 | 1,2 | 3,6 | 5,6 |
| სარაგოსა — ტენერიფე | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| მერიდა — მალიორკა | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ოვიედო — ბარსელონა | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| სელტა — რასინგი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| ბილბაო — რეალი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| კომპოსტელა — ვალიადოლიდი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

## ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XV ტური

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეიდა — ორენსე | 2,3 | 2,7 | 2,5 |
| ლას პალმასი — ხაენი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ეიბარი — სერესი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| ალბასეტე — ელჩე | 1,5 | 2,8 | 6,0 |
| ტოლედო — ესტრემადურა | 2,5 | 2,2 | 2,3 |
| ვილიარეალი — ბადახოსი | 1,5 | 2,7 | 6,5 |
| რაიო — ლოგრონიესი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ერკულესი — სევილია | 1,9 | 2,8 | 3,6 |
| ოსასუნა — ატლეტიკო B | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ლევანტე — ლეგანესი | 2,1 | 2,6 | 3,0 |
| ნუმანსია — ალავესი | 2,3 | 2,7 | 2,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პორტუგალიის ჩემპიონატი. X ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოავიშტა — ბენფიკა | 3,2 | 2,8 | 1,9 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპორტინგი — ამადორა | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ბრაგა — პორტუ | 3,8 | 3,0 | 1,7 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სეტუბალი — ბელენენსეში | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| გიმარაეში — სალგეირუში | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| აკადემიკა — კამპომაიორენსე | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| შავეში — მარიტიმუ | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| რიუ ავე — ლეცა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ფარენსე — ვარზიმი | 1,7 | 3,0 | 3,8 |

## ჰოლანდიის ჩემპიონატი.

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| როდა — ტილბურგი | 1,4 | 3,3 | 5,6 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი — ტვენტე | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| აიაქსი — გრააფსხაპი | 1,05 | 6,0 | 14,0 |
| მაასტრიხტი — ვალვაიკი | 1,5 | 3,3 | 4,4 |
| ბრედა — სიტარდი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ვიტესი — გრონინგენი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფეიენოორდი — უტრეხტი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |

## ბელგიის ჩემპიონატი. XIII ტური

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სტანდარდი — ანტვერპენი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| მუსკრონი — ბევერენი | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| შარლერუა — ჰარელბეკი | 2,2 | 2,9 | 2,5 |
| ლოკერენი — ვესტერლო | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| ანდერლეხტი — სტ. ტრიუდენი | 1,3 | 3,8 | 6,0 |
| გენკი — მოლენბეკი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| გენტი — ლიერსი | 2,2 | 2,9 | 2,5 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეკერენი — ბრიუგე | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| აალსტი — ლომელი | 2,9 | 2,9 | 2,0 |

## შოტლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — დანდი იუნაიტედი | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| დანფერმლაინი — აბერდინი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ჰართსი — კილმარნოკი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| მოზერველი — რეინჯერსი | 6,0 | 3,8 | 1,3 |
| სტ. ჯონსტონი — ჰიბერნიანი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

## შვეიცარიის ჩემპიონატი. XX ტური

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაზელი — ქსამაქსი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| კარუჟი — ლუცერნი | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| ლოზანა — გრასჰოპერი | 2,3 | 2,6 | 2,6 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არაუ — სერვეტი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| კრინსი — სიონი | 2,5 | 2,7 | 2,3 |
| ციურიხი — სტ. გალენი | 1,7 | 3,0 | 3,8 |

## თურქეთის ჩემპიონატი. XIV ტური

21 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისთანბულსფორი — ტრაბზონსფორი | 3,2 | 2,8 | 1,9 |

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე — ანთალიასფორი | 1,05 | 6,0 | 14,0 |
| 0:1 | 1,15 | 3,8 | 5,6 |
| ვანსფორი — ბეშიქთაში | 9,0 | 4,7 | 1,15 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გალათასარაი — დარდანელსფორი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,4 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა:

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (მე-14). | 25 და ნაკლები — 1,9; | 27 და მეტი — 1,9 |
| ინგლისი (მე-15). | 25 და ნაკლები — 1,9; | 27 და მეტი — 1,9 |
| იტალია (მე-9). | 23 და ნაკლები — 1,9; | 25 და მეტი — 1,9 |
| ესპანეთი (მე-13). | 26 და ნაკლები — 1,9; | 28 და მეტი — 1,9 |

## CROCO-2

### ტირაჟი №81

1. ვოლფსბურგი — კაიზერსლაუტ.
2. კიოლნი — არმინია
3. ჰერტა — ლევერკუზენი
4. ბლექბერნი — ჩელსი
5. შეფილდ უენსდეი — არსენალი
6. ინტერი — მილანი
7. ოვიედო — ბარსელონა
8. ბილბაო — რეალი

### ტირაჟი №82

1. ბოლონია — ფიორენტინა
2. ბრეშია — უდინეზე
3. ემპოლი — ატალანტა
4. იუვენტუსი — პარმა
5. ლეჩე — ნაპოლი
6. რომა — ვიჩენცა
7. სარაგოსა — ტენერიფე
8. მერიდა — მალიორკა

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

# ატლანტა მართლა ქოროზს

17 ნოემბერი

**პორტლენდი 120:75 დალასი**

**პორტლენდი: საბონისი (24+12 მოხსნა), რაიდერი (19)**
**დალასი: სკოტი (12)**

სეზონის დასაწყისში სამი მოგების შემდეგ დალასმა ზედიზედ მეექვსე მარცხი იწვნია. ორშაბათს საბონისის პორტლენდმა სულ თავბედი აწყევლინა დალასელებს. მავერიქსის ერთ-ერთი ლიდერი აყლაყუდა შონ ბრედლი თავდაპირველად კი ფაფხურობდა, მაგრამ სერიოზულ მეტოქესთან ამჯერადაც ვერაფერი გააწყო: ცოტა ხნის წინ შაკილ ონილმა გააბითურა, ამ თამაშში კი საბონისის წერა გახდა.

18 ნოემბერი

**ორლანდო 112:94 კლიპერსი**

**ორლანდო: პრაისი (23), საიკლი (21+11 მოხსნა), გრანტი (19)**
**კლიპერსი: ბარი (21)**

**ტორონტო 109:122 ბოსტონი**

**ტორონტო: უოლესი (30+12 მოხსნა), კრისტი (23), სტუდემაიერი (21)**
**ბოსტონი: მაკარტი (18), უოლკერი (14+10 მოხსნა)**

ტორონტომ ზედიზედ მეშვიდედ წააგო.

**ატლანტა 98:89 ვაშინგტონი**

ოვერტაიმი

**ატლანტა: ლეიტნერი (24+11 მოხსნა), ბლეილოკი (24), მუტომბო (14+11 მოხსნა + 6 დაფარება)**
**ვაშინგტონი: სტრიკლენდი (24+10 პასი + 7 მოხსნა), ჰოვარდი (20)**

„ატლანტა ჰოუქსის“ ტრიუმფალური სვლა გრძელდება. ამჯერად მან ოვერტაიმში სძლია ვაშინგტონს. ასე თუ გააგრძელეს, ქორებს შეუძლიათ შესწვდნენ რეკორდს — სტარტზე ზედიზედ 15 მოგებას, რომელიც ჰიუსტონმა 1993 წელს დაამყარა. ამ მატჩზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ ატლანტა თითქმის მთელი ძირითადი დრო მდევრის როლში იყო, მაგრამ ბოლო მეოთხედში მას მშველელად მოევლინა დიკემბე მუტომბო, რომელმაც თავისი 14 ქულიდან 12 მეოთხე მეოთხედში გააზერხა. ძირითადი დრო 89:89 დასრულდა. დამატებით დროში კი ვაშინგტონმა ვერაფერი გააწყო ატლანტასთან და მის ახალბედა ედ გრეისთან (14 ქულა), რომელმაც ოვერტაიმში ატლანტის 9 ქულიდან 7 მიითვალა.

**დენვერი 87:100 ვანკუვერი**

**დენვერი: ჯექსონი (18), ელისი (17)**
**ვანკუვერი: ედვარდსი (27), აბდურ-რაჰიმი (19)**

წყალწაღებულმა დენვერმა კვლავ წააგო, ამჯერად ახალგაზრდა ლიდერის ერიკ უილიამსის გარეშე.

**მილუოკი 87:79 დეტროიტი**

**მილუოკი: ბრენდონი (21), ალენი (21)**
**დეტროიტი: უილიამსი (28+10 მოხსნა)**

**ფინიქსი 90:108 მინესოტა**

**ფინიქსი: ჯონსონი (27), მენინგი (20+11 მოხსნა)**
**მინესოტა: გარნეტი (26), მარბერი (23), გულიოტა (20+10 მოხსნა + 8 პასი)**

პორტლენდის მძლეველმა ფინიქსმა შინ წააგო პორტლენდისგან ძლეულ მინესოტასთან, რომელსაც გამთამაშებელმა მარბერიმ გაამარჯვებინა — მან ბოლო ხუთ წუთში 11 ქულა დააგროვა. მთლიანად ეს მონაკვეთი ტიმბერვულვზმა 15:0 მოიგო.

**იუტა 92:97 ლეიკერსი**

**იუტა: მელოუნი (26), ჰორნაჩეკი (18)**
**ლეიკერსი: ბრაიანტი (19), ვან ექსელი (19)**

გამწარებულმა ლეიკერსმა, გახსოვს, პლეი-ოფიდან რომ გამოპანღურეს, ახლა იყარა ჯავრი იუტაზე. სოლტ ლეიკ სიტიში მისტირიან იმ დროს, როცა სტოქტონ-მელოუნის დუეტს ნებისმიერის დაჩოქება შეეძლო. არადა, სტოქტონის გარეშე მოთამაშე იუტა მთელ თამაშში წინ იყო, მაგრამ ვლადე დივაცის ნაცვლად შარლოტიდან მოსულმა კობი ბრაიანტმა იმდენი მოახერხა, ეს საღამოც ჩაუმწარა იუტელებს.

**საკრამენტო 103:95 დალასი**

**საკრამენტო: უილიამსონი (20), რიჩმონდი (17)**
**დალასი: გრინი (20+13 მოხსნა), სკოტი (20)**

**ჰიუსტონი 95:84 ნიუ იორკი**

აი, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს იუინგის ნიქსი და ოლაჯუონის როკიტსი. ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაიწყო მათი პაექრობა. თავდაპირველად იუინგი მძლავრობდა, შემდეგ კი ძალები გათანაბრდა. 1994 წლის NBA-ს ფინალში ოლაჯუონის ჰიუსტონმა 7-მატჩიან სერიაში სძლია ნიუ იორკს. ეს თამაშიც, ცხადია, დაძაბული იყო. მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით და 49 წამით ადრე იუნგმა (12 ქულა ამ თამაშში) 73:73 გახადა ანგარიში. ამის შემდეგ ოლაჯუონმა (24 ქულა) ჩააგდო, იუინგს კი ტყორცნა გაუცუდდა. ამას დრექსლერმა მიაყოლა ზუსტი სროლა, მელოუნმა (23 ქულა) და უილისმაც (17) გამოიღეს ხელი და ჰიუსტონმა მონაკვეთი 12:0 მოიგო. მოხუცი სტარქსი (29) ბევრს კი ეცადა, მაგრამ ამაოდ. დამთავრდა მატჩი და იუინგს კვლავ დარჩა ოლაჯუონის ბოღმა. რას იზამ, სხვა დროს მოუწევს პატრიკს და მის გუნდს რევანშის აღება.

**ირაკლი ფირაშვილი**



ლეიკერსის წარმატებაში ნიკ ვან ექსელს ლომის წილი უდევს

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტის დივიზიონი | | | |
| მაიამი | 6 | 3 | 66,7 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 3 | 62,5 |
| ნიუ იორკი | 6 | 4 | 60,0 |
| ორლანდო | 6 | 4 | 60,0 |
| ბოსტონი | 5 | 5 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 4 | 6 | 40,0 |
| ფილადელფია | 2 | 6 | 25,0 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| ატლანტა | 11 | 0 | 100,0 |
| შარლოტი | 5 | 3 | 62,5 |
| ჩიკაგო | 6 | 4 | 60,0 |
| მილუოკი | 6 | 4 | 60,0 |
| კლივლენდი | 4 | 5 | 44,4 |
| ინდიანა | 4 | 5 | 44,4 |
| დეტროიტი | 4 | 7 | 36,4 |
| ტორონტო | 1 | 9 | 10,0 |

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

| | | | |
|---|---|---|---|
| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
| სან ანტონიო | 6 | 3 | 66,7 |
| მინესოტა | 6 | 3 | 66,7 |
| იუტა | 5 | 5 | 50,0 |
| ვანკუვერი | 5 | 6 | 45,5 |
| ჰიუსტონი | 4 | 5 | 44,4 |
| დალასი | 3 | 7 | 30,0 |
| დენვერი | 0 | 9 | — |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| ლეიკერსი | 9 | 0 | 100,0 |
| პორტლენდი | 7 | 2 | 77,8 |
| ფინიქსი | 6 | 2 | 75,0 |
| სიეტლი | 7 | 3 | 70,0 |
| საკრამენტო | 3 | 7 | 30,0 |
| კლიპერსი | 1 | 9 | 10,0 |
| გოლდენ სტეიტი | 0 | 8 | — |



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი — კოლორადო 6:6**

**შაიბები: ბულისი 3 (1:0), ლემიე 5 (1:1), ლემიე 6 (1:2), ჰანტერი 3 (2:2), ლემიე 7 (2:3), ტინორდი 4 (3:3), იელე 3 (3:4), საიმონი 3 (4:4), ბონდრა 13 (5:4), კამენსკი 8 (5:5), ფორსბერგი 5 (5:6), ბონდრა 14 (6:6).**

უქმეებზე ორი მარცხით გაცოფებული კოლორადო ვაშინგტონის განადგურებას ლამობდა, მით უმეტეს, რომ „ეველანშის“ შემადგენლობაში წამყვანი გამთამაშებელი ფორსბერგი დაბრუნდა. მაგრამ ვაშინგტონელთა მედგარმა წინააღმდეგობამ ფავორიტის განზრახვა განზრახვად დატოვა, ამ დაპირისპირებამ კი დედაქალაქელი მაყურებელი საუცხოო სანახაობის მოწმედ აქცია. მატჩის მშვენება ფორსბერგისა და მასპინძელთა წამყვანი, ოუთსის სამეულების პაექრობა გახდა, რომლებიც თითქოსდა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შედეგიანობასა და ეფექტური კომბინაციების გათამაშებაში. ანგარიში ახალბედა ვაშინგტონელმა ბულისმა გახსნა, შემდეგ კი ლიდერებმა თქვეს სიტყვა: ჯერ კოლორადოელმა კლოდ ლემიემ გაიბრწყინა — 25-ე წუთისთვის ფორვარდმა კარიერაში მე-7 ჰეთ-თრიქი შეასრულა და თავისიანები დააწინაურა, მაგრამ ლემიეს პარტნიორებმა ვერ აუბეს მხარი და ბრძოლაც გათანაბრდა. მერე კოლორადოს თითქოს დაღლა დაეტყო — ეს იყო მეორე პერიოდის მიწურულს, როცა ოუთსის (2 პასი) გადაცემის შემდეგ ბონდრამ (2+1, 14) პირველად დააწინაურა მასპინძლები, მაგრამ „ეველანშმა“ მაიან მოძებნა ძალა და კამენსკიმ და ფორსბერგმა სტუმართა უპირატესობა ანგარიშშიც ასახეს. ყველაფერი მაინც მასპინძელთათვის იღბლიანად დასრულდა — ბონდრამ იხსნა „კეპიტალსი“. საბოლოოდ ლემიემ (3+2, 7), ფორსბერგმა (1+3, 5) და კამენსკიმ (1+3, 8) ერთბაშად 13 ქულა დააგროვეს და ულამაზეს ორთაბრძოლაში მაინც აჯობეს თავიანთ ვაშინგტონელ მეტოქეებს — ოუთსის ტრიოს.



კოლორადოელი ფორსბერგი წაიქცა, მაგრამ მაინც გაიტანა

# ეშმაკებმა ხეირი ნახეს

**17 ნოემბერი. ოტავა — ბოსტონი 2:4, მონრეალი — ტამპა 4:1, ტორონტო — სენტ ლუისი 2:3, ფინიქსი — ედმონტონი 6:3.**
**18 ნოემბერი. ნიუ ჯერსი — კალგარი 2:1, ფლორიდა — რეინჯერსი 1:3, სან ხოსე — ანაჰაიმი 4:2.**

ნიუჯერსელმა „ეშმაკებმა“ თავიანთი მწვრთნელი ჟაკ ლემერი ისე მიაჩვიეს მოგებებს, რომ აუტსაიდერ კალგარისთან მინიმალური უპირატესობით გამარჯვებამ გუნდის თავკაცი აღარ დააკმაყოფილა და თავის შეგირდებს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს.

მართალია, ნიუჯერსელები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ ინიციატივას და მეტოქეს ორ პერიოდში მხოლოდ 5-ჯერ დაარტყმევინეს, მაგრამ მცველ ნიდერმაიერის მიერ წამოწყებული ორი კომბინაციის შემდეგ ერთი საპასუხო გოლი მაინც გაუშვეს და ბოლო მესამედში საკმაოდ ანერვიულეს მწვრთნელი. მასპინძელთა ბედად, შეუდარებელი იყო გოლკიპერი მარტინ ბროდო. ასე იყო თუ ისე, ნიუ ჯერსიმ ზედიზედ 7 გამარჯვებით ახალი საკლუბო რეკორდი დაამყარა, კალგარის კი პირიქით — აგერ უკვე 9 თამაშია, ვერ მოუგია (3 ფრე და 6 მარცხი).

რეინჯერსმა წარმატებით დაიწყო 5-მატჩიანი საგარეო სერია და არცთუ კარგად მოასპარეზე ფლორიდას ისე გაუმკლავდა, თავი დიდად არ შეუწუხებია. კვლავ კარგად ითამაშა ალექსეი კოვალიოვმა: 2 პასი მიითვალა, ერთ-ერთი კი, რომლის შემდეგ ლაფონტენმა (11) გადამწყვეტი შაიბა შეაგდო, მეტად ლამაზი იყო. „რეინჯერების“ ახალბედამ, შვედმა ლინდბომმა პირადი ანგარიში გახსნა. ფლორიდელთა წარუმატებლობას კი მათი თავდამსხმელის — ვიქტორ კოზლოვის მძიმე ტრავმაც დაემატა. არადა, „პანტერებმა“ რუსი სამი დღით ადრე გაუცვალეს სან ხოსეს ძალისმიერ ფორვარდ დეივ ლოურიში.

ოტავა და ბოსტონი სამი დღის განმავლობაში მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად ბოსტონელებმა იმარჯვეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინებულად ითამაშა ოტაველთა ლიდერმა იაშინმა (2+0, 8), მის გუნდს არაფერი ეშველა: „დათვებმა“ პირველი ორი პერიოდის პირველსავე წუთებზე თითო-თითო შაიბა შეაგდეს. აღნიშვნის ღირსია, რომ ბოსტონელთა ფორვარდმა დიმაიომ (5) ოტავასთან ნათამაშევ 3 მატჩში მეორე გამარჯვების გოლი გაიტანა.

ჩემპიონატის ყველაზე უხეირო გუნდს — ტამპას ვერც ახალი მწვრთნელის, ჟაკ დემერის მისვლამ დააყარა სიკეთე. მისი თავკაცობით „ელვებმა“ მესამე მატჩი წააგეს, თუმცა მონრეალი არათუ ტამპასთვის, ძლიერი გუნდებისთვისაც კი მძიმე მეტოქეა და შედეგიც ლოგიკურია. კვლავ გამოირჩეოდა მონრეალელთა წამყვანი სამეული რექი-კოივუ-სავაჟი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ტრიოს ნაყოფიერებით აღმოსავლეთში მხოლოდ ფილადელფიის „დუმის“ ლეგიონი სჯობნის. გარემარბებმა — რექიმ და კოივუმ ახლაც თქვეს თავიანთი სიტყვა: შესაბამისად ორი და ერთი გოლი გაიტანეს, გამთამაშებელმა კოივუმ კი სამი პასი მიითვალა. მონრეალმა ბოლო 9 თამაშიდან 8 მოიგო.

შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი, ფინიქსელი კეიტ ტკაჩუკი წელსაც მარჯვეა ამ საქმეში და, ფაქტობრივად, ყველა მატჩში გააქვს გოლი. ედმონტონთან მან (1+1) თავისი საგოლე მარაგი 11-მდე გაზარდა, თვით ფინიქსმა კი მეორე პერიოდში შეგდებული 4 შაიბით ბოლო 5 მატჩში მე-4 გამარჯვება მოიპოვა.

ახალბედების — მარლოსა (2+0, 3) და შტურმის (2 პასი) წყალობით სან ხოსემ ისე მოუგო ანაჰაიმს, ტეემუ სელიანეს გასაქანიც კი არ მისცა. შტურმი, რომელსაც გერმანული ჰოკეის იმედად მიიჩნევენ, საუკეთესოა ლიგაში პირველად მოთამაშე ჰოკეისტთა შორის.

სენტლუისელმა მაკინისმა ძირითადი დროის დამთავრებამდე ორი წამით ადრე სამი ქულა მოუტანა თავის კლუბს. იგი პირველი მცველია, რომლის ანგარიშზეც მე-10 გოლია.

**სამველ ლარიბიანი**

ბომბარდირები: ლეკლერი 30 (18+12), ლინდროსი (ორივე — ფილადელფია) 30 (9+21), მოდანო (დალასი) 27 (10+17), სელიანე (ანაჰაიმი) 26 (20+6), კორსონი (მონრეალი) 26 (8+18), ჰალი (სენტ ლუისი) და ტკაჩუკი (ფინიქსი) 25 (12+13), ფორსბერგი 25 (5+20), საკიკი (ორივე — კოლორადო) 24 (11+13), ბონდრა (ვაშინგტონი) 23 (14+9), რექი (მონრეალი) 23 (10+13), ფრენსისი (პიტსბურგი) 23 (8+15), შტუმპელი (ლოს ანჯელესი) და ოუთსი (ვაშინგტონი) 23 (7+16), პალფი (აილენდერსი) 22 (11+11).

მცველები: დიუშენი 22 (4+18), მაკინისი (ორივე — სენტ ლუისი) 19 (10+9), ლიდსტრიომი (დეტროიტი) 19 (8+11), მალახოვი (მონრეალი) 18 (5+13), ზუბოვი (დალასი) 17 (3+14), ბერარი (აილენდერსი) 16 (7+9), ნიდერმაიერი (ნიუ ჯერსი) 16 (5+11), მერფი (დეტროიტი) 16 (2+14), იუჰანსონი (ვაშინგტონი) 15 (7+8), კრავჩუკი (ოტავა) და გელი (ლოს ანჯელესი) 14 (4+10).

## ევროლიგა

მართალია, ევროლიგის გათამაშებაში ჯგუფური ტურნირის მეორე წრე ჯერ ახლახან დაიწყო, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ შარშანდელმა გამარჯვებულმა ფინეთის ტპს-მა ჩემპიონის ტიტული დაკარგა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ფინელები შინ იაროსლავლის „ტორპედოსთან“ 2:3 დამარცხდნენ. რუსებს წელს იღბლიანი დებიუტი ჰქონდათ ევროლიგაში — სამ საშინაო გამარჯვებას ერთი საგარეოც დაუმატეს და, ფაქტობრივად, გაინაღდეს მეორე ეტაპზე გასვლა. თანაც ბოლო მატჩში მათ მეტად იყოჩაღეს: 52-ე წუთზე 1:2 აგებდნენ, მაგრამ პანკოვისა და სამილინის გოლების წყალობით მატჩის ბედი შეატრიალეს. ამავე, D ჯგუფში „სლოვანმა“ ინტერნაციონალური სამეულის — სლოვაკ კაპუშის (2+1), ბელარუს პანკოვის და რუს ილინის (ორივე — 2+2 პასი) ძალისხმევით 4:3 სძლია შვედეთის „ლულეო“.

იაროსლაველებთან ერთად მეორე ეტაპზე გასვლის საკითხი შვედეთის „ფერიესტადმა“ და რუსეთის „დინამომაც“ გადაწყვიტეს. სკანდინაველებმა ზედიზედ მე-4 „მშრალი“ გამარჯვება მიითვალეს, ამჯერად გერმანიის „კასელთან“ 6:0 — მაგნუსონმა და შეკვისტმა 2-2 შაიბა შეაგდეს. მოსკოველებმა კი სტუმრადაც მოუგეს იტალიის „ბოლცანოს“ 4:0. რუსთა მცველმა დმიტრი ორეხოვსკიმ 3 (2+1) ქულას 5-ჯერ (!) საჯარიმო სკამზე მოხვედრაც დაამატა.

ტურის კიდევ რამდენიმე მატჩი დასრულდა „მშრალი“ ანგარიშით. „ფერიესტადის“ (A ჯგუფი) თანაჯგუფელმა, ფინეთის „იოკერიტმა“, რომელიც აგრეთვე ფავორიტად ითვლება, 3:0 დაამარცხა ჩეხეთის „ვიტკოვიცე“ და მეოთხედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნა — მეორე რაუნდში ხომ ჯგუფებში გამარჯვებულთა გარდა მეორე ადგილზე გასულთა შორის ორი საუკეთესოც ხვდება. ფინელთა ფორვარდმა ანტი ტორმანენმა ჯერ უმცირესობაში შეაგდო, მერე კი პარტნიორ ნიემინენს ორჯერ მიაწოდა.

F ჯგუფში კი, სადაც მოსკოვის „დინამო“ ასპარეზობს, უდიდესი სენსაცია მოხდა. ინგლისის „მანჩესტერმა“, რომელმაც შარშანდელ გათამაშებაში ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვა, მეორედ მოუგო პრაღის „სპარტას“, თანაც სამარცხვინო ანგარიშით — 7:0! ოთხი შაიბა კანადელმა ვუდკროფტმა შეაგდო.

ჩეხური ჰოკეი სირცხვილისგან ნაწილობრივ „ვშეტინმა“ (E ჯგუფი) იხსნა, რომელმაც აუტსაიდერ „ამიენს“ 4:2 მოუგო. თუმცა გუნდს ჯერ კიდევ მძიმე ბრძოლა ელის, რადგან მისმა მთავარმა კონკურენტმა, ტოლიატის „ლადამ“ მეტლიუკის ჰეთ-თრიქის წყალობით რევანში აიღო შვეიცარიის „ცუგთან“ 3:0. აქ ყველაფერი ლიდერთა პირად შეხვედრაში გადაწყდება.

ფინეთის ჰპკ-მ შინ სამარცხვინოდ დამარცხების (3:8) შემდეგ სტუმრად აჯობა თავის კონკურენტს, შვედეთის „ლექსანდს“ — 4:3. მეორე პერიოდში რუსმა ლეგიონერებმა — პოტაიჩუკმა (2+0) და შარგოროდსკიმ (1 შაიბა) 4-მდე გაზარდეს სხვაობა, მაგრამ ბოლო მესამედში ფინელებმა ლამის დაკარგეს გამარჯვება.

ამავე B ჯგუფში „მანჰაიმისა“ და სლოვაკეთის „დუკლას“ შეხვედრა, ისევე როგორც მათი პირველი მატჩი, ჩხუბით აღინიშნა. ორივე თამაშში კლუბებმა 379 საჯარიმო წუთი დააგროვეს და მხოლოდ ორი გოლისთვის მოიცალეს. მასპინძლებმა 2:0 მოიგეს, მათ რიგებში კვლავ ფრანგი ლეგიონერები — ბოზონი (2 პასი) და პუჟე (1+1) გამოირჩნდნენ.

ყველაზე სუსტ, C ჯგუფში სტუმრად გამარჯვების შემდეგ გერმანიის „კიოლნი“ და ავსტრიის „ფელდკირხი“ დაწინაურდნენ. „კიოლნმა“ 3:2 მოუგო სტარტის მოულოდნელ ლიდერ „სტურჰამარს“, ავსტრიელებმა კი ასეთივე ანგარიშით „ბერნს“ სძლიეს.

**A ჯგუფი:**
ფერიესტადი 12 ქულა; იოკერიტი 8; კასელი 4; ვიტკოვიცე 0

**B ჯგუფი:**
ჰპკ 9; მანჰაიმი 6; ლექსანდი 6; დუკლა 3

**C ჯგუფი:**
ფელდკირხი 9; კიოლნი 9; სტურჰამარი 5; ბერნი 1

**D ჯგუფი:**
ტორპედო 12; სლოვანი 7; ლულეო 3; ტპს 2

**E ჯგუფი:**
ვშეტინი 10; ლადა 8; ცუგი 6; ამიენი 0

**F ჯგუფი:**
დინამო 11; მანჩესტერი 8; სპარტა 3; ბოლცანო 2

## თხილამურობა

# დაშვება მეტ პატივშია

სათხილამურო სეზონი დღეიდან გაჩაღდება, თორემ მსოფლიო თასის ორ-ორი ეტაპი ქალებმაც და ვაჟებმაც ამ ერთი თვის წინ გამართეს საფრანგეთში, ტინის მყინვარზე.

იქ წელს გაცოცხლებული პარალელური სლალომი მოიგეს ფრანგმა ლელა პიკარმა და ავსტრიელმა იოზეფ შტრობლმა, გიგანტური სლალომი — იტალიელმა დებორა კომპანიონიმ და შვეიცარელმა მიხაელ ფონგრენიგენმა. ფონგრენიგენი თასის ჯამურ ჩათვლაშიც დაწინაურდა, ქალთა ლიდერი კი გერმანელი მარტინა ერთლია.

სათხილამურო ცირკი ჯერ ჩრდილოეთ ამერიკას მოივლის, მერე კი ევროპაში გადმოინაცვლებს. თებერვალში ნაგანოს ზამთრის თამაშების გამო თასზე შესვენება გამოცხადდება, ფინალი კი მარტში, შვეიცარიაში გაიმართება.

ვაჟებს სულ 39 სტარტი აქვთ, ქალებს — 37. პარალელური სლალომი ორივეთათვის თითოჯერაც მოეწყობა. პროგრამაში დაშვებისა და სლალომის კომბინაციაც ორია გათვალისწინებული. სხვაფრივ, ქალებს დაშვება, სუპერ-გიგანტი და გიგანტური სლალომი ტოლად, 8-ჯერ ექნებათ, სლალომი კი 9-ჯერ.

ვაჟებში დაშვება აშკარად მეტ პატივშია. იგი 11 გაიმართება. სამაგიეროდ, მეორე ჩქაროსნული დისციპლინა — სუპერ-გიგანტია დამცრობილი: ოდენ 6 მოეწყობა, სლალომი და გიგანტური სლალომი კი ამათაც 9-9 ელით.

ირაკლი ნინუა

### მსოფლიო თასის განრიგი

დ დაშვება, სგ. სუპერ-გიგანტი, გს გიგანტური სლალომი, ს სლალომი, კ კომბინაცია, პს პარალელური სლალომი

ქალები. 20-22.11. პარკ-სითი (აშშ): გს, ს; 27-29.11. მემოთ-მაუნტი (აშშ): სგ, პს; 4-6.12. ლეიკ-ლუიზი (კანადა): ორი დ, სგ; 11-12.12. ვალდიზერი (საფრანგეთი) სგ, გს; 19-21.12. ვეისონაზი (შვეიცარია) დ, სგ, ს, კ; 27-28.12. ლინცი (ავსტრია): ორი ს; 5-6.01. 1998. ოფტერშვანგი (გერმანია): გს, ს; 10-11.01. მარიბორი (სლოვენია): გს, ს; 17-18.01. კიცბიუელი (ავსტრია): დ, სგ; 23-25.01. კორტინა-დამპეცო (იტალია): დ, სგ, გს; 29.01-1.02. ორე (შვედეთი): დ, გს, ს, კ; 28.02-1.03. ზალბახი (ავსტრია): ს; 7-8.03. მორზინი (საფრანგეთი): დ, სგ; 11-15.03. კრანს-მონტანა (შვეიცარია): დ, სგ, გს, ს (ფინალი)

ვაჟები. 21-23.11. პარკ-სითი: გს, ს; 29-30.11. ვისლერ-მაუნტი (კანადა): დ, სგ; 5-6.12. ვეილი (აშშ): დ, სგ; 13-14.12. ვალდიზერი: დ, გს; 15.12. სესტრიერე (იტალია): ს; 20-21.12. ვალ-გარდენა — ალტა-ბადია (იტალია): დ, გს; 22.12. მადონა-დიკამპილიო (იტალია): ს; 30.12. ბორმიო (იტალია): დ; 3-4.01.1998. კრანსკა-გორა (სლოვენია): გს, ს; 6.01: პინტერშტოდერი (ავსტრია): გს; 8-10.01: შლადმინგი (ავსტრია) სგ, ს; 13.01. ადელბოდენი (შვეიცარია): გს; 17-18.01. ვენგენი (შვეიცარია): დ, ს, კ; 23-25.01. კიცბიუელი: ორი დ, ს, კ; 28.01-1.02. გარმიშ-პარტენკირხენი (გერმანია): დ, სგ, პს; 28.02-1.03. იონპიონი (სამხ. კორეა): გს, ს; 7-8.03. კვიტფიელი (ნორვეგია): დ, სგ; 11-15.03. კრანს-მონტანა: დ, სგ, გს, ს (ფინალი)

## კრივი

# ამდენი მოცილის შემყურე

მუშტი-კრივის ქომაგები დიდ შერკინებას ელიან. მრავალგზის ითქვა, რომ მძიმე წონის დანაწევრებული ტიტული უნდა გამთლიანდეს; სადაც სამართალია, მსოფლიოს ერთი, ყველას მიერ აღიარებული ჩემპიონთა-ჩემპიონი უნდა ყავდესო.

მას აქეთ, რაც ევანდერ ჰოლიფილდმა ასოციაციის (ვბა) სარტყელს ფედერაციისაც (იბფ) შემატა, კარგი პირი გამოუჩნდა იმას, რომ ბოლოსდაბოლოს საბჭოს (ვბკ) ჩემპიონ ლენოქს ლუისსაც ეკრივოს. ჩემპიონთა სამზადისისა და პრომოუტერთა შულლ-ჯანჯლაობის ამბავი რომ კარგად მოეხსენება, უცხოეთის მედია ამ ნანატრი ბრძოლის გამართვის სავარაუდო ვადად 1998 წლის აპრილისა და მაისის შესაყარს სახავს.

ჰოლიფილდის პრომოუტერი დიდი თაღლითი დონ კინგია, ლუისისა — მასზე ნაკლები გაქანების პატრონი დინო დუვა. საქმე ორივეს ისე აქვს გაჩალიჩებული, რომ შეგირდების ჩხუბების პირდაპირი ჩვენების მონოპოლური უფლება კონკურენტ საკაბელო ტელე-სისტემებს შეუძენიათ. რაკი „სეირის წილ მაყუთი“ (PPV, Pay per View) პრინციპი თანამედროვე ზეპური სპორტის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, პრომოუტერთა ინტრიგანობაზე მეტად სწორედ ეს ფაქტორი შეიძლება გახდეს ჰოლიფილდ — ლუისის შერკინების გამართვის მთავარი შემაფერხებელი.



უხეიროდ მოტოციკლისტი მაიკ ტაისონი საავადმყოფოდან რომ გაწერეს, უმალ „სი-ენ-ენ“-ის ცნობილმა წამყვანმა ლარი კინგმა სალაყბოდ მიიწვია. ყურზე კბენია ექსჩემპიონი სრულიად ამერიკას გამოუტყდა, რომ თუმც ნევადის კრივის ხელისუფალთაგან შეწყალებას არც მოელის, მაინც ჰოლიფილდთან მესამე შებმის იმედით სულდგმულობს

კიდევ ერთი ფაქტორი პროფესიულ კრივში მოქმედი კლასიფიკაციის სისტემაა. ყველა გაერთიანება ადგენს ჩემპიონობის მაძიებელთა სიძლიერის განმსაზღვრელ მისეულ ნუსხას. ერთი და იგივე მოკრივე მათში სულ სხვადასხვა პოზიციებზე აღმოჩნდება ხოლმე, ზოგი ვერსია კი ამა თუ იმ მებრძოლს საერთოდ არა ცნობს.

რაკი პროფესიული ჩხუბები კანტი-კუნტად იმართება, ამ ნუსხებში აღზევება-ჩამოქვეითება მეტწილად სუბიექტურად ხდება და ვბა-ის, ვბკ-ისა და იბფ-ის დიდმოხელეთა დილიხორზე კიდია. ამის გამოა, რომ საქმე ხშირად ირჩევა სასამართლოში, მაგრამ გაერთიანებები მაინც იმდენს ახერხებენ, რომ ამათ განჩინებას არა ცნობენ. აბა როგორ, თავიანთ დოსტ პრომოუტერებს ხომ არ გაუფუჭებენ საქმეს?!

აი, ახლაც, ვბკ-ის აზრით, ლუისის საჩემპიონო სარტყლის უპირველესი მოცილე ჰოლიფილდი კი არაა, არამედ ხორვატი ჟელკო მავროვიჩი. ეს ბიჭი ევროპის ჩემპიონია; გერმანიაში ცხოვრობს და ბრიტანეთში ვარჯიშობს. საბჭოს ამ ერთი კვირის წინ დაუდგენია, რომ ლუისს მავროვიჩთან კრივი გაისად ივლისამდე მართებს.

იბფ-ის ტიტულის უპირველესი პრეტენდენტი ამერიკელი ვოგან ბინია. ამას ჰოლიფილდის მიერ გალახული მაიკლ მორერი წელსვე, მარტში ისე მოერია, რომ ოფლი თითქმის არ დაუღვრია, მაგრამ ბინი იბფ-ის ვერსიით კვლავაც პირველ ნომრად რჩება. მეტიც, იმისთვის, რომ მორერს 8 ნოემბერს ჰოლიფილდი შეხვედროდა, ორივემ ერთად 350 ათასი US$ გაიღო და ბინს აჩუქა, რათა ამას ევანდერისთვის ჩხუბის რიგი დაეთმო.

ვბა-ში საქმე უარესადაა თუ უკეთესად, თავად განსაჯეთ. 32 წლის ამერიკელმა ორლინ ნორისმა მართლმსაჯულებას მიმართა, ასოციაცია და კინგი მჩაგრავენ და პირველ პრეტენდენტობას არ მანებებენო. საოლქო მსაჯული, ქალბატონი ნორმა შაპირო საკითხს რომ ჩაუღრმავდა, ლამის იყო გადაირია, კრივის დიდ-ოღრაშთა ქმედებაში იმდენი უკანონობა, კლასიფიკაციის წესებში კი იმდენი ულოგიკობა აღმოაჩინა. საქმის გარჩევისას შაპირომ კინგსაც კი ჩამოართვა ჩვენება და კითხვები ისე ოსტატურად დაუსვა, რომ „ტეფლონ დონს“ სულ „დიახ“ აძახებინა.

კრივზე მწერლები შენიშნავენ, ნორისის სარჩელი სრულიად კრივს ერთობ წაადგებაო. საქმე ისაა, რომ სასამართლომ მოკრივეს დაუჭირა მხარი და დაადგინა, რომ თუ მაქინაციები კვლავაც გაგრძელდება, კინგს შერკინებების მოწყობა აეკრძალება, ვბა-ს კი საჩემპიონო ჩხუბების სანქციონირების უფლება ჩამოერთმევა.

ქალბატონ შაპიროს დაუდგენია, რომ ჰოლიფილდი ნორისს გაისად ივნისის ბოლომდე უნდა ეკრივოს, თუ ორლინი თავად მოერევა ბრიტანელ ჰენრი აკინვანდეს, ვინაც თავის დროზე ხელი ნებით აიღო ამერიკაში აუღიარებელი ორგანიზაციის (ვბო) ტიტულზე, რათა ლენოქს ლუისს ვბკ-ის ჩემპიონობას შეცილებოდა, მაგრამ კრივის მაგივრად მას ბერძნულ-რომაული ჭიდაობა გაუმართა და დისკვალიფიკაციაც მისცეს.

ვალერი ჯიქია

## აფროსნობა

# 431,5 მილი 24 სთ-ში

სამხრეთ ოკეანეში სტიქია მძვინვარებს, გარსაქვეყნო ნაოსნობის ფლოტილია კი ჯიუტად მიიწევს აღთქმული მიწისკენ. ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროზე მკრგვინავ 40-იან განედებში გათოშილ და გალუმპულ ზღვაოსნებს [illegible] ხულის სითბო მიელით.

ლიდერი „სვიდიშ მეჩი“ საფრანგეთის უკაცრიელ სამფლობელოს, კუნძულ კერგელენს გაცდა. ეს იმის ნიშანია, რომ გუნარ კრანცის ეკიპაჟს გასაცური გაცურულზე ნაკლები რჩება. სკიპერი და მისი ნავიგატორი ერლ უილიამსი ამინდის რუკებს გულდაგულ სწავლობენ, რათა გეზი ისე დაიჭირონ, რომ ოდენ ფინიშზე შეყოვნდნენ, რაკი ფრიმენთლიდან 300 მილის დაშორებით შეფერხება გარდაუვალი ყოფილა.

ორშაბათს „მეჩზე“ ერთობ შფოთავდნენ, რადგან სიჩქარე კონკურენტებმაც აკრიფეს. „სილქ ქათმა“ იმდენი შეიძლო, რომ ლიდერს ჩამორჩენა ერთი დღე-ღამის განმავლობაში 213 მილით (!) შეუმცირა და კინაღამ ცალ-კორპუსა იახტების მსოფლიო რეკორდსაც გამოკრა ხელი: 24 საათში 431,5 მილი გალია, რაც სულ რაღაც 2,9 მილითაა ნაკლები „ტოშიბას“ შედეგზე, რომელიც წელსვე, ივლისში, ატლანტის ოკეანის გადასერვისას აღინუსხა.

არადა, ლორი სმითის ნავს თავს დიდი ხიფათი გადახდა: გრიგალმა ცალ ბორტზე ერთიანად მოუგლიჯა მაშველი ბაგირები და კინაღამ სათადარიგო აფრებიც გადაუყარა ოკეანეში. ასეთ ზარალს ვერ გადაურჩა I სტადიის გამარჯვებული „ლენგვიჯი“, ვისი გუნდიც უკუნ ღამეში ამაოდ ეცადა ტალღების მიერ წატაცებული იალქნის იახტაზე ათრევას.

იზარალა „მერით ქაფმაც“. იახტა 5 წუთის განმავლობაში ერთიანად დაფერდებული იყო, მერე კი სპინაკერი დაეხა. წესების თანახმად, ამ ტიპის აფრა ყოველ ნავს თითო ეტაპზე 7 აქვს. სკიპერი გრანტ დოლტონიც იმედს არ კარგავს, რომ თუ სამხრეთით თამამად გაუტევს, ძლიერ ქარში მოხვდება და თანდათან გაუსწრებს თავისსავით მაჩანჩალა იახტებს. ეს ჩვენი ბოლო შანსიაო, გადმოუცია „ვითბრედს“ შერჩენილ ბოლო ზელანდიელ კაპიტანს.

მიხო ნინუა

### ვითბრედის გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

II სტადია. ქეიფთაუნი — ფრიმენთლი

8 - 24 ნოემბერი (4600 მილი)

ვითარება გუშინ, გრინვიჩის დროით 00.01 საათზე

| იახტა | დროშა | ქ | სკიპერი | დარჩა |
|---|---|---|---|---|
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | 36 | კრანცი | 1532.9 |
| ინოვეიშნ კვერნერ | ნორვეგია | 97 | ფროსტადი | +314.3 |
| ტოშიბა | აშშ | 60 | სთენდბრიჯი | +440.9 |
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | 125 | კაიარდი | +621.7 |
| სილქ ქათ | ბრიტანეთი | 84 | სმითი | +691 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | 72 | ფიშერი | +713.7 |
| მერით ქაფ | მონაკო | 110 | დოლტონი | +849.4 |
| ი-ეფ ედუქეიშენ | შვედეთი | 24 | გიუ (ქალი) | +859.3 |
| ბრიუნელსანერჯი | ჰოლანდია | 12 | ბუსხოლცი | +900.2 |

### საქართველოს XXX პირველობა

შემოდგომის სტადია

ა ჯგუფი

ბოლოსწინა, IX ტური

15.11. ვაკე: ყოჩები-სტუ 27 (15) (4ლ: სულთანიშვილი, პეტრიაშვილი, ჭავჭავაძე, მხეიძე; 2გ: მაჩიტიძე; ს: ტეფნაძე) — ქუთაისის აია-პეი 16 (6) (ლ, გ და 3ს: შვანგირაძე). მსაჯი ლევან მგელაძე

16.11. ვაკე: გუმარი 33 (16) (3ლ: მაისურაძე, დიდებულიძე, ჯანელიძე; 3გ და 4ს: მოდებაძე) — ასკ 25 (5) (4ლ: კოდუა, აბუსერიძე, მაგრაქველიძე, აბრამიშვილი; გ: აბუსერიძე; ს: ძამიაშვილი). მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი

17.11. ვაკე: ლოკომოტივი 12 (12) (2ლ: კაცაძე, ჯაფარაშვილი; გ: ძნელაძე) — რუსთავის აზოტი 24 (10) (3ლ: ძოწენიძე, ფირცხალავა, ლობჟანიძე; 3გ და ს: ე. ძაგნიძე). მსაჯი მგელაძე

| რჩება 1თ | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები-სტუ | 21 | 19 | 1 | 1 | 568:256 | 67-21 | 39 |
| აზოტი (რ) | 21 | 15 | 2 | `4 | 417:263 | 55-21 | 31 |
| ლოკომოტ. | 21 | 10 | 2 | 9 | 367:284 | 40-29 | 22 |
| აია-პეი (ქ) | 21 | 10 | 1 | `10 | 387:340 | 46-35 | 20 |
| გუმარი | 21 | 8 | 2 | ``11 | 380:404 | 43-44 | 16 |
| ასკ | 21 | 3 | 0 | 18 | 215:586 | 27-89 | 6 |

ბოლო, X ტური. 21 (პარ): აზოტი — ყოჩები, აია — გუმარი, ასკ — ლოკომოტივი

პლეი-ოფი

ნახევარფინალი: 25.11. II ადგილოსანი — III; 26.11. I — IV

მცირე ფინალი: 29.11; ფინალი: 30.11

## რაგბი

# ლაშა, საშა, პაშა, ანტილოპა და დეკლო

რაღა რჩება პლეი-ოფამდე? — ერთი კინკილა ტური. წყვილებიც თითქმის გარკვეულია. უეჭველია, რომ ლაშა გეგენავას „ყოჩები“ „ანტილოპა“ ბათლომე ხამაშურიძის „აიას“ უმასპინძლებენ, საშა ლობჟანიძის „აზოტი“ კი „პაშა“ დავით ჩავლეიშვილის „ლოკომოტივს“ შინ, გიორგი ჭყონდიდლის დასახლების რაგბის სტადიონზე ეთამაშება, ხალხში უფრო „პივის ბოჭკებად“ რომაა ცნობილი.

წინა პლეი-ოფი 1991 წლის ზაფხულში გვქონდა. მას აქეთ თავად გუნდებმა დაასკვნეს, რომ ვერაფერი ვაჟკაცობაა, ლიდერს მთელი სეზონის ნაჯაფი წყალში გადაუყარო და ფინიშზე გასამართ ბლიც-შეჯიბრში ხელმეორედ მოთხოვო უკეთესობის დამტკიცება. და კიდევ, რაგბი ჩვენში ისე რიცხვმცირე თემის საქმე და გასართობია, რომ პლეი-ოფიდან მატერიალური ხეირის მოლოდინი არასერიოზულ საქმედა ჩანს.

ასე იფიქრეს ქართველმა მწვრთნელებმა ბარემ ექვსი წელი, მაგრამ ზაფხულიდან სულ სხვა ჰანგზე ამღერდნენ. დაბეჯითებით დაიწყეს მტკიცება, ჩვენს რაგბს პლეი-ოფი თუ გააკეთილშობილებსო. მათგან უფრო მუჯაჰედებმა (შეურიგებელმა ოპოზიციონერებმა) ისიც განაცხადეს, მავან გუნდებს საქართველოს რაგბის კავშირის მიერ დანიშნული მსაჯები ხელს რომ აშველებენ, დაე, ამათ უცხოელი არბიტრის თვალწინაც დაგვიმტკიცონ, რომ მართლა გვჯობიანო.

ჩვენი მსაჯების ვინმესადმი მიკერძოება აბსურდია და სალაპარაკოდ არა ღირს. სისულელეა ისიც, თითქოს რაგბის კავშირს ყავდეს ფავორიტი გუნდები. მეტოქე სეზონის განმავლობაში ოთხიდან ოთხ თამაშს რომ მოგიგებს, რაღაა სადაო?! ცხრილი ხომ უტყუარი სარკეა.

და მაინც, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო და რაგბის კავშირსაც პლეი-ოფის განსასჯელად უცხოელი მსაჯი ჩამოყავს. იგია ფრანგი მარკ დეკლო, ვინაც საქართველოში მხოლოდ ერთ კვირას დაყოფს, მაგრამ ოთხ დღეს მოედანზე კი გაატარებს.

ვეჭვობთ, ფრანგს ამგვარი დატვირთვა აქამდე გადაეტანოს. ისიც სათქმელია, რომ ჩვენი ბიჭები დეკლოს ენაზე გამართულად ვერ საუბრობენ და მას მუნჯურად თულა შეეკამათებიან, ჩვენივე მწვრთნელები კი თარჯიმნობა მისჯილ „ჭუკი“ გია ჭუმბურიძეს მალიმალ შეაწუხებენ.

ნიკოლოზ მაჭარაშვილი

| ბომბარდირი | კლუბი | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბესო ტეფნაძე | ყოჩები | 3 | 16 | 35 | 2 | 158 |
| ემზარ ძაგნიძე | აზოტი | 4 | 29 | 20 | 5 | 153 |
| შოთა მოდებაძე | გუმარი | 2 | 22 | 28 | 1 | 141 |
| ბობა კვინიხიძე | ლოკომ. | 1 | 11 | 26 | 1 | 108 |
| კახა კობახიძე | ყოჩები | 5 | 18 | 13 | - | 100 |
| დემირ ძნელაძე | ლოკომ. | 4 | 4 | 13 | - | 67 |
| ზურაბ შვანგირაძე | აია | 3 | 5 | 13 | - | 64 |
| ირაკლი აბუსერიძე | ასკ | 8 | 8 | 2 | - | 62 |
| გიორგი ჩუბინიძე | აია | 3 | 5 | 9 | 2 | 58 |
| ბესიკ ხამაშურიძე | აია | 4 | 9 | 4 | 1 | 53 |
| ზურაბ რეხვიაშვილი | აზოტი | 10 | - | - | - | 50 |
| ლევან შერვაშიძე | აია | 4 | 7 | 2 | 3 | 49 |

### მელელოვეები

10: ზურაბ რეხვიაშვილი (აზოტი)
8: პაატა ძოწენიძე (აზოტი), ირაკლი აბუსერიძე (ასკ)
7: კახა მხეიძე (ყოჩები)
6: სანდრო საკანდელიძე (ყოჩები), კახა ალანია (ლოკომოტივი), ვასიკო აბაშიძე (გუმარი)
5: კახა კობახიძე (ყოჩები), გელა ფირცხალავა (აზოტი), მახო ურჯუკაშვილი (გუმარი)
4: ენუქიძე, ხეხელაშვილი, ტყეშელაშვილი და ხურცილავა (ყოჩები); ძაგნიძე (აზოტი); ძნელაძე (ლოკომოტივი); ხამაშურიძე, შერვაშიძე და გორგიძე (აია); ბესელია, ბუგიანიშვილი, მაისურაძე და ჯანელიძე (გუმარი); კოდუა (ასკ)

მეარეკნეები: ძაგნიძე 5; მიხეილ წეველიძე (ლოკომოტივი) და შერვაშიძე 3; ტეფნაძე და ჩუბინიძე 2

## ტონგა ზელანდია როდია

16.11. სვონზი. უელსი 46 (23) (6ლ: გ. თომასი 2, ლ. დევისი, ვაიატი, ენტონი, უოკერი; 2გ და 4ს: ნ. ჯენქინსი) — ტონგა 12 (0) (2ლ: ტატაფუ, ტაი; გ: ტონგა). მსაჯი ს. ბორზანი (არგენტინა)

ამ შაბათს ბრიტანეთში მოგზაურ ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსს“ ინგლისი უმასპინძლებს მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“, იქეთა შაბათს კი „უბადლონი“ მეორე საფეხბურთო ტაძარს — ლონდონის „უემბლისაც“ დაამულამებენ.

საქმე ისაა, რომ 1999 წლის მსოფლიო თასის მთავარი მასპინძელი უელსი ფრიად აღმშენებლობაშია ჩაბმული — კარდიფის ეროვნული სტადიონი არქიტექტურის შედევრს უნდა დაფეროს. ამის გამო ზელანდიას ეთამაშება ექსიმპერიის დედაქალაქში, რადგან უელსიდან მასზე ახლო და მარჯვედ მისასვლელი დიადი არენა სხვაგან არსად ეგულება.

ტონგაც ზღვისრეთშია, მაგრამ მთლად ზელანდიასავით ვერაა, თუმცკი ბრიტანულ ტურნეზე ტომით ტონგელი ჯონა ლომუს უელსელი მენეჯერი, ფილ კინგსლი-ჯოუნზი თავკაცობს. კუნძულელები რაგბის სამშობლოში კლუბებს ეთამაშებიან და მსოფლიო თასისთვის ემზადებიან.

რაკი ტონგას ზელანდიამდე ბევრი უკლია, უელსმა მას ტურნეს ერთადერთი ტესტი გაუმართა სვონზის „სენტ-ჰელენსზე“, სადაც ნაკრებს ბოლოჯერ 1954 წელს უთამაშია. მატჩს ქარი და წვიმა შეხვდა და ოდენ 6 589 მოსეირე მიიზიდა.

უელსმა თავს იმის უფლება მიცა, რომ ძირითადი 9 ნომერი რობ ჰაული შესვენების შემდეგლა ჩაება თამაშში. იმ დროისთვის წვიმამ გადაიღო და მასპინძლებიც აბურთავდნენ. აი, მანამდე კი ვერაფერი მოუხერხეს სტუმართა ქაჯობას: ესენი დაცვაში თამაშგარეს არად დაგიდევენ, ბოჭვა კი ისე ველური იციან, რომ მეტოქე მათ თავს (!) ყველანაირად უნდა ერიდოს.

რაკი ტონგას რაგბის თამაში არ სურდა, უელსი მარტო ვერას გახდა. გარემარბებამდე ბურთი ვერ აღწევდა. მსაჯი განუწყვეტლივ სტვენდა, მაგრამ მულლაზანზარელებს შესვენებამდე მხოლოდ 19 ჯარიმა აკმარა, მოედნიდან კი არავინ გაუძევებია.

ნიკო ვეფხვაძე


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მექველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29